

Creative Europe

შემოქმედებითი ევროპა

კულტურის ქვეპროგრამა

ევროპული პლატფორმების მხარდაჭერა

საკონკურსო განაცხადი 06 / 2017

გზამკვლევი



სარჩევი

1.	შესავალი - ზოგადი მიმოხილვა.....	3
2.	ქვეპროგრამის პრიორიტეტები და მიზნობრივი პროექტები	5
2.1.	ქვეპროგრამის პრიორიტეტები	5
ა)	ტრანსნაციონალური მობილობა	5
ბ)	აუდიტორიის განვითარება	6
გ)	შესაძლებლობების განვითარება	6
2.2.	მიზნები.....	8
2.3.	მიზნობრივი პროექტები.....	9
3.	განრიგი	13
4.	ხელმისაწვდომი ბიუჯეტი	14
5.	განაცხადის მიღების მოთხოვნები	15
6.	დასაშვებობის კრიტერიუმები.....	16
6.1.	უფლებამოსილი განმცხადებლები	16
6.2.	უფლებამოსილი ქვეყნები	18
6.3.	დასაშვები საქმიანობა	19
7.	დაუშვებლობის კრიტერიუმები.....	21
7.1.	მონაწილეობაზე უარის თქმა	21
7.2.	უარი დაჯილდოების პროცედურაზე.....	24
7.3.	დამხმარე დოკუმენტაცია.....	25
8.	შერჩევის კრიტერიუმები	26
8.1.	ოპერირების შესაძლებლობები	26
8.2.	ფინანსური შესაძლებლობები	26
9.	დაჯილდოების კრიტერიუმები.....	28
10.	სამართლებრივი ვალდებულებები	32
11.	ფინანსური დებულებები	33

11.1.	ზოგადი პრინციპები	33
11.2.	დაფინანსების ფორმები	35
11.2.1.	დაშვებული ხარჯები	36
11.2.2.	დაუშვებელი ხარჯები	39
11.3.	საბოლოო საგრანტო თანხის გაანგარიშება - დამხმარე დოკუმენტაცია	39
11.4.	გადახდის პირობები	42
11.5.	წინასწარი გადახდის უზრუნველყოფა	42
12.	ცნობადობა, კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება	44
12.1.	ბენეფიციარების მიერ	44
12.2.	სააგენტოს ან/და კომისიის მიერ	44
12.3.	კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება	45
13.	მონაცემთა დაცვა	46
14.	განცხადებების წარდგენის და შერჩევის პროცედურა	48
14.1.	გამოქვეყნება	48
14.2.	რეგისტრაცია მონაწილეთა პორტალზე	48
14.3.	საგრანტო განაცხადების წარდგენა	48
14.4.	მოქმედი წესები	49
14.5.	კონტაქტები	50

განცხადების წარდგენისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია, ელექტრონული ფორმით, მათი დანართები და გზამკვლევი განმცხადებლებისთვის, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://eacea.ec.europa.eu/creative-europe/funding/european-platforms-062017_en

1. შესავალი – ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე გზამკვლევი ეფუძნება ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის #1295/2013 დირექტივას, რომლის თანახმადაც შეიქმნა პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ (შემდგომში - დირექტივა)¹ და 2014 წლის 27 ივნისის კორექტივებს². აღნიშნული ასევე ეფუძნება „შემოქმედებითი ევროპის 2017 წლის სამუშაო პროგრამას“³.

პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ზოგად მიზნებს წარმოადგენს ევროპის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, განვითარება და ხელშეწყობა, ევროპის კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერა და „ევროპის კულტურის და შემოქმედებითი სექტორების“ განმტკიცება სტაბილური, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიზნით.

წინამდებარე გზამკვლევი ასევე ითვალისწინებს პოლიტიკურ მოვლენებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც დადგენილია ევროკავშირის დონეზე კულტურის სფეროში. „კულტურის სფეროში ევროპის დღის წესრიგი“⁴, რომელიც 2007 წელს გამოიცა [ევროკავშირის](#) მიერ, პირველად განსაზღვრავს როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ასევე მათსა და კომისიას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის ჩარჩოს.

ზემოაღნიშნულის თანახმად, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა „კულტურის სამოქმედო გეგმა“⁵, რომელიც განსაზღვრავს 2015-2018 წლების პრიორიტეტებს და მიზნად

¹ [Regulation No 1295/2013, Official Journal of the European Union on the 20/12/2013 \(OJ L347/221\)](#)

² [Corrigendum to Regulation \(EU\) No 1295/2013 of the European Parliament and of the Council of 11 December 2013 establishing the Creative Europe Programme \(2014 to 2020\) and repealing Decisions No 1718/2006/EC, No 1855/2006/EC and No 1041/2009/EC \(OJ L 347, 20.12.2013 \), \(OJ L189/260\) 27/06/2014](#)

³ [Commission Implementing Decision C\(2016\)5822 of 16/09/2016 on the adoption of the 2017 annual work programme for the implementation of the Creative Europe Programme](#)

⁴ Council of the European Union, [European Agenda for Culture](#), ST-16094-2014-INIT, 26 November 2014

⁵ Council of the European Union, [Work Plan for Culture 2015-2018](#), ST-16094-2014-INIT, 26 November 2014

ისახავს, როგორც ეროვნულ, ასევე ევროკავშირის დონეზე, კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების აღმოფხვრას გარემოში, სადაც მუდმივად აღინიშნება გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ზრდა.

გარდა ამისა, 2016 წლის 8 ივნისს მიღებულ იქნა „კულტურის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ევროკავშირის სტრატეგიის ერთობლივი საკომუნიკაციო გეგმა“⁶. წინამდებარე პოლიტიკის ჩარჩო ხელს უწყობს იმ კონტექსტის და საბოლოო მიზნების უკეთ განსაზღვრასა და გაგებას, სადაც პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ მოქმედებს.

[ევროკომისია](#) პასუხისმგებელია პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ განხორციელებაზე და ევროკავშირის თანხების ინდივიდუალურად გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. [განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო](#) (შემდგომში - „სააგენტო“) ევროკომისიის სახელით და მისი ზედამხედველობით კულტურის ქვეპროგრამის მართვას ახორციელებს.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ec.europa.eu/creative-europe/>

⁶ EC JOIN (2016)29, [Joint Communication to the European Parliament and the Council – Towards an EU strategy for international cultural relations](#), 8 June 2016

2. ქვეპროგრამის პრიორიტეტები და მიზნობრივი პროექტები

2.1. ქვეპროგრამის პრიორიტეტები

„შემოქმედებითი ევროპის კულტურის ქვეპროგრამის“ პრიორიტეტები მოიცავს შემდეგს:

ა) ტრანსნაციონალური მობილობა

წინამდებარე პრიორიტეტი მოიცავს როგორც ხელოვანი პირებისა და პროფესიონალების ტრანსნაციონალურ მობილობას, ასევე კულტურული და შემოქმედებითი ნამუშევრების ტრანსნაციონალურ მიმოცვლას, რაც მიზნად ისახავს კულტურის სფეროში გაცვლის უზრუნველყოფას, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას, კულტურული მრავალფეროვნების შეცნობასა და სოციალურ ჩართულობას.

ტრანსნაციონალური მობილობა მიზნად არ უნდა ისახავდეს მხოლოდ პროექტის კოორდინაციას, მართვასა და განხორციელებას. მობილობა ეფუძნება შედეგებს და არა მოგზაურობას.

პროექტები, რომლებიც პასუხობს წინამდებარე პრიორიტეტს, უნდა განიხილავდეს საზღვრისპირა მობილობის სტრატეგიას და მათ შორის, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- პროექტში ჩართული კულტურის სფეროს ოპერატორებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება, ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე მუშაობის მიზნით;
- შექმნა, წარმოება;
- პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, სწავლება, განათლება/ტრენინგი;
- ხელოვანი პირებისა და პროფესიონალებისთვის, კარიერული ზრდის შესაძლებლობები ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე მუშაობის მიზნით;
- ახალ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა;
- კონტაქტების და პარტნიორობების შექმნის შესაძლებლობა;
- ახალ და ფართო აუდიტორიებზე წვდომა;
- კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგის ინიცირება, მრავალფეროვანი კულტურისა და კულტურული გამოხატულებების პატივისცემა და ლტოლვილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ბ) აუდიტორიის განვითარება⁷

აუდიტორიის განვითარება მოიცავს ხალხისა და კულტურის ურთიერთდაახლოებას. აღნიშნული მიზნად ისახავს საზოგადოების უშუალო ჩართვას ხელოვნებასა და კულტურაში და მათ შეფასებაში. აუდიტორიის განვითარება მოიცავს საზოგადოების ჩართულობით აღნიშნული პროცესის მართვას. აუდიტორიის განვითარება ხელს უწყობს ევროპელ ხელოვან პირებს/კულტურის სფეროში პროფესიონალებს, ასევე მათი ნამუშევრების გავრცელებას ევროპის მასშტაბით და მათზე ხელმისაწვდომობას. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებს, ახალგაზრდებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს, მათ შორის ლტოლვილებს.

გ) შესაძლებლობების განვითარება

შესაძლებლობების განვითარება გულისხმობს კულტურის სფეროში მოქმედი ოპერატორების ხელშეწყობას, მათი უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებისა და ინტერნაციონალური პროფესიული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ასევე კულტურული და შემოქმედებითი ნამუშევრების ტრანსნაციონალურ დონეზე მიმოცვლის მიზნით შესაბამისი პირობების შექმნას.

გ. 1) ციფრულ სისტემაზე გადასვლა

ციფრულ სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვნად მოქმედებს კულტურული და შემოქმედებითი ნამუშევრების დამზადებაზე, გავრცელებაზე, ხელმისაწვდომობაზე, გამოყენებასა და მონეტიზაციაზე. აღნიშნული ცვლილებები „ევროპის კულტურის და შემოქმედებითი სექტორებისთვის“ ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მოცემული შესაძლებლობების გამოყენებისთვის კულტურისა და შემოქმედებით სექტორებს სჭირდებათ ახალი უნარების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს უახლეს წარმოებას, გავრცელების მეთოდებსა და თანამედროვე ბიზნეს მოდელებს.

„შემოქმედებითი ევროპის კულტურის ქვეპროგრამა“ ხელს უწყობს ტრანსნაციონალური ხასიათის პროექტებს, რომელიც საშუალებას აძლევს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებს, მოერგონ ციფრულ სისტემას, ასევე უზრუნველყონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება როგორც წარმოების, ასევე გავრცელებისა და მოხმარების თვალსაზრისით. საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს სემინარების ორგანიზებას, ციფრული ტექნოლოგიის საშუალებით მინოდების თანამედროვე არხების ტესტირებას ან კულტურის სფეროში ციფრულ სისტემაზე გადასვლის მეთოდების განვითარებას. აღნიშნული და სხვა საქმიანობა ძირითად შემთხვევებში უკავშირდება

⁷ წინამდებარე საკონკურსო განაცხადის კონტექსტში, აღნიშნული ტერმინი, მე-2 დანართის თანახმად, უკავშირდება აუდიტორიის განვითარებას.

აუდიტორიის განვითარებას ან თანამედროვე ბიზნეს მოდელებს და განმცხადებლებმა უნდა დაუშვან ამგვარი კავშირები და განმარტონ რა წარმოადგენს საქმიანობის ძირითად მიზანს.

გ.2) თანამედროვე ბიზნეს მოდელები

უახლესი ტექნოლოგიები მიზანშეწონილს და ზოგჯერ საჭიროსაც ხდის შემუშავდეს და დაიტესტოს კულტურის სექტორში შემოსავლების გენერირების, მართვისა და მარკეტინგის თანამედროვე მოდელები. ამავდროულად, კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედმა ოპერატორებმა უნდა გაიძლიერონ ფინანსებისა და ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევები, რაც მისცემს მათ საშუალებას უკეთესად იყენონ წარმოდგენილნი ბაზარზე და მიიღონ სრული უპირატესობა განვითარებადი დაფინანსების შესაძლებლობებისგან.

„შემოქმედებითი ევროპის კულტურის ქვეპროგრამა“ ხელს უწყობს ტრანსნაციონალური ხასიათის პროექტებს, რაც უზრუნველყოფს კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედი სუბიექტებისთვის ბიზნესის უნარ-ჩვევების განმტკიცებას, რათა მათ უკეთ შეეცნონ ცვალებადი ეკონომიკური კონტექსტი და მოიძიონ შემოსავლის ახალი წყაროები ან მართვის თანამედროვე მოდელები, რაც მათ მისცემს ნაკლები დანახარჯით უკეთ ოპერირების საშუალებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს სემინარების ორგანიზებას, ერთობლივი სამუშაო და შემოქმედებითი სივრცეების მონაცემებს, ახალი საქმიანობის და მართვის მიდგომების განვითარებას და ტესტირებას და სხვა აქტივობებს, რომელიც უკავშირდება კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების სამეწარმეო უნარ-ჩვევებს.

განმცხადებლებმა უნდა გაითვალისწინონ წინამდებარე და სხვა პრიორიტეტებს (ციფრულ სისტემაზე გადასვლა, აუდიტორიის განვითარება) შორის მჭიდრო კავშირი და განსაზღვრონ მათი ძირითადი მიზანი და ქმედების შედეგი სხვა პრიორიტეტებზე.

გ.3) ტრენინგი და განათლება

ახალი უნარების გამომუშავება, რომელიც საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას გაიმდიდრონ პროფესიული ცხოვრება და განიმტკიცონ შესაძლებლობები შრომით ბაზარზე, წარმოადგენს ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ყოვლისმომცველ პრიორიტეტებს. განათლება კულტურისა და შემოქმედების სფეროში და ტრენინგი წარმოადგენს აღნიშნული ძალისხმევის განუყოფელ ნაწილს.

„შემოქმედებითი ევროპის კულტურის ქვეპროგრამა“ ხელს უწყობს ტრანსნაციონალური ხასიათის პროექტებს, რომელიც მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას შეიძინონ ცოდნა და გაიუმჯობესონ შრომისუნარიანობა პროექტში მონაწილე აღიარებულ სკოლებში ფორმალური სწავლების თუ მხატვრულ სწავლებაზე ორიენტირებული

არაფორმალური აქტივობების მეშვეობით, ან აითვისონ ზოგადი უნარ-ჩვევები კულტურისა და ხელოვნების სექტორში.

წინამდებარე და სხვა პრიორიტეტების ლოგიკური კომბინირება წარმოადგენს კარგ პრაქტიკას და საჭიროებს განმარტებას.

2.2. მიზნები

ევროპული პლატფორმების ძირითად მიზნებს წარმოადგენს შემდეგი:

- კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს **ახალი ტალანტების** ხელშეწყობა, ტრანსნაციონალური მობილობის წახალისება და ნამუშევრების გავრცელება კულტურულ და შემოქმედებით სექტორებზე ფართო გავლენის მოპოვების და გრძელვადიანი შედეგების მიღწევის მიზნით;
- კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს **მოღვაწეების, ხელოვანებისა და შემოქმედებითი პირების** აღიარებისა და წარმოჩენის ხელშეწყობა ევროპული პროგრამების ფარგლებში, საკომუნიკაციო საქმიანობისა და ბრენდინგის სტრატეგიის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ხარისხიანი ევროპული ბრენდის შექმნას.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით, პლატფორმების პროექტები ფოკუსირებული უნდა იყოს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

- ევროპული შემოქმედი და ხელოვანი პირების, განსაკუთრებით ახალი ტალანტების და საერთაშორისო გამოფენებს მოკლებული პირების მობილობისა და წარმოჩენის ხელშეწყობა;
- კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში, ქმედითი ევროპული პროგრამის ხელშეწყობა და განვითარება, რომელიც გაამარტივებს წვდომას უცხოურ, ევროპული კულტურული და ხელოვნების ნიმუშებზე. თანაწარმოების, საერთაშორისო ტურების, ღონისძიებების, გამოფენებისა და ფესტივალების ხელშეწყობა და გაამარტივება;
- საკომუნიკაციო და ბრენდინგის სტრატეგიის განხორციელება, მათ შორის, ხარისხიანი ევროპული ბრენდის შექმნა;
- ახალი, ახალგაზრდა აუდიტორიის მობილიზება და განვითარება;
- თანამედროვე ბიზნეს მოდელების, მათ შორის, ინოვაციური განაწილების მეთოდების გამოყენების კუთხით საგანმანათლებლო და ინფორმირებულობის დონის ასამაღლებელი აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, ევროპის კულტურული და ხელოვნების სფეროს და აუდიტორიის უკეთ წარმოჩენის მიზნით.

პლატფორმების მხარდაჭერის სქემა გამიზნულია ხელი შეუწყოს კრიტიკულ მასას ახალი ტალანტების პოპულარიზაციასა და წარმოჩენაში და აჩვენოს შედეგი შემოქმედებით და კულტურულ სექტორებში. აღნიშნული საფუძვლით, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პლატფორმის პროექტები იქნება მხარდაჭერილი, რათა მოხდეს სხვადასხვა შემოქმედებითი და კულტურული სექტორის დაბალანსება. შესაბამისად, არ არის განზრახული ერთსა და იმავე სექტორში მრავალი პლატფორმის პროექტის მხარდაჭერა. წახალისება განცხადებები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ვიზუალური ხელოვნების, თეატრის, ოპერის, მოდის თუ არქიტექტურის სექტორებზე. საკონკურსო განაცხადების შერჩევისას, შეფასების კომიტეტი აღნიშნულს გაითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა უკავშირდება ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქის ნამუშევარს ან საქმიანობას ევროკავშირის ფარგლებს მიღმა, პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს „კულტურის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ევროკავშირის სტრატეგიის ერთობლივ საკომუნიკაციო გეგმასთან“⁸.

2.3. მიზნობრივი პროექტები

სქემა ხელს უწყობს ევროპული პლატფორმის პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს **ევროპული ხელოვანი პირებისა და მათი ნამუშევრების**, განსაკუთრებით ახალი ტალანტების პოპულარიზაციას და წარმოჩენას **ქმედითი ევროპული პროგრამის მეშვეობით**.

წინამდებარე საკონკურსო განაცხადის კონტექსტში, ევროპული პლატფორმა წარმოადგენს კულტურისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების (წევრების) ჯგუფს, რომელთა მიერ მუშავდება საერთო შემოქმედებითი ხედვიდან გამომდინარე ერთობლივი აქტივობები და რეგულირდება წერილობითი შეთანხმებით, რომელიც შეესაბამება სქემის კონკრეტულ მიზნებს და პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ კულტურის ქვეპროგრამის ამოცანებს.

ევროპული პლატფორმის პროექტებს აქვთ შესაძლებლობა განჭვრიტონ ახალი კულტურული და შემოქმედებითი ტენდენციები, ხელი შეუწყონ შემოქმედებითი და ხელოვნების ნიჭის მქონე ახალგაზრდებს⁹ და შექმნან ახალი აუდიტორიები ხელოვნებისა და შემოქმედებითი სფეროს ახალი ფორმით ორგანიზების მეშვეობით, რაც კულტურისა და შემოქმედებით სექტორებში გახსნის ახალ შესაძლებლობებს და განავითარებს თანამედროვე ბიზნეს მოდელებსა და მომსახურებებს, ხელს შეუწყობს სამომხმარებლო არჩევანის ზრდას და შესაბამისად, განამტკიცებს კულტურულ მრავალფეროვნებას.

⁸ EC JOIN (2016)29, [Joint Communication to the European Parliament and the Council – Towards an EU strategy for international cultural relations](#), 8 June 2016, p.4-5

⁹ წინამდებარე საკონკურსო განაცხადის კონტექსტში, ტალანტებში იგულისხმება ხელოვანი და შემოქმედებითი პირები

პლატფორმის სქემა ორიენტირებულია მომხმარებლისთვის განკუთვნილ საქმიანობაზე, ვინაიდან პრიორიტეტი მიმართულია ხელოვანი პირებისა და შემსრულებლების, განსაკუთრებით კი დამწყები ტალანტების განსაზღვრასა და წარმოჩენაზე და ასევე, კულტურის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებზე, რომელთაც ეკისრებათ ვალდებულება მათ პოპულარიზაციაზე.

პლატფორმის დამხმარე პროექტები უნდა უზრუნველყოფდნენ მკაფიო ევროპულ დამატებით ღირებულებებს¹⁰. აღნიშნული ასპექტი მხედველობაში იღებს ერთ-ერთ შემდეგს:

- პლატფორმის პროექტის შემოქმედებითი ხედვა და მათი **თემატური და გეოგრაფიული წარმომადგენლობა;**
- ტრანსნაციონალური ხასიათის აქტივობები და საქმიანობები, რომელიც მოიცავს რეგიონალურ, ეროვნულ, საერთაშორისო და ევროკავშირის სხვა პროგრამებსა და პოლიტიკებს, და ამგვარი აქტივობებისა და საქმიანობების გავლენა კულტურისა და შემოქმედებით სექტორებზე, ასევე მოქალაქეებსა და კულტურის შესახებ მათ ინფორმირებულობაზე;
- ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავება და ხელშეწყობა კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედ სუბიექტებს შორის, მათ შორის, მხატვრებს, აუდიოვიზუალური სფეროს პროფესიონალებს, კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედ ორგანიზაციებსა და აუდიოვიზუალურ ოპერატორებს შორის, რაც ორიენტირებულია გლობალურ გამოწვევებზე უფრო ყოვლისმომცველი, სწრაფი, ეფექტური და გრძელვადიანი რეაგირების ნახალისებაზე.
- ეკონომიკა, რომელსაც ხელს უწყობს ევროკავშირი, უზრუნველყოფს მიზნის მიღწევისთვის დამატებითი თანხების მობილიზებას.

პლატფორმის პროექტის მაკორდინირებელმა უწყებამ უნდა შეიმუშაოს ნათლად განსაზღვრული ჩარჩო პროგრამა, რომელიც მოიცავს მართვის წესებს, საერთო კულტურულ და სოციალურ ღირებულებებს, შემოქმედებით მისწრაფებებს, ერთობლივ საქმიანობას და სადაც თითოეული წევრი უნდა მოქმედებდეს შეკავშირებულად პლატფორმის პროექტის სრული მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნული შედეგად გამოიწვევს კონკრეტულ და გაზომვად შერჩევასა და მონიტორინგის კრიტერიუმებს, რომელიც უხელმძღვანელებს წევრ ორგანიზაციებს 2.2. ნაწილით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. მაკორდინირებელმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს პლატფორმის პროექტის მონაწილე თითოეული წევრის მიერ აღნიშნული კრიტერიუმების შესრულება პროექტის მიმდინარეობის მანძილზე და იგი პასუხისმგებელი იქნება ახალი წევრების შერჩევაზე და მათ შემდგომ მონიტორინგზე. იგი უფლებამოსილია ასევე უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა იმ წევრებისთვის, ვინც

¹⁰ Regulation No 1295/2013, Official Journal of the European Union on the 20/12/2013, OJ L347/221, 20.12.2013, Article 5

აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს. მაკოორდინირებელი უწყება პასუხისმგებელი იქნება პლატფორმის წევრების მიერ განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციასა და ზედამხედველობაზე, ასევე საქმიანობაზე, რომელიც უკავშირდება პლატფორმის მდგრად, სტრუქტურულ განვითარებას (მაგ: თანამედროვე ბიზნეს მოდელების გამოყენება და სხვა) და საკომუნიკაციო და ბრენდინგის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე, მათ შორის, ხარისხიანი ევროპული ბრენდის შექმნაზე. გარდა ამისა, მაკოორდინირებელმა უწყებამ შესაძლოა განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ხელი შეუწყოს ხელოვან და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირებს - განსაკუთრებით ახალ ტალანტებს - და მათ ნამუშევრებს;
- შექმნას და განავითაროს ახალი აუდიტორიები;
- შექმნას ქსელები: ინფორმაციის, ანიმაციის და კომუნიკაციის.

პლატფორმის წევრებმა უნდა განიხილონ და განახორციელონ 2.2. ნაწილით განსაზღვრული ერთობლივი აქტივობები, რათა მიაღწიონ მოსალოდნელ შედეგებს და შეასრულონ გლობალური სამოქმედო გეგმით და ყოველწლიური სამუშაო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

კრიტერიუმები, ასევე დამწყები ხელოვანი და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების განსაზღვრება უნდა დადგინდეს მაკოორდინირებელი უწყების მიერ და მოერგოს სექტორ(ებ)ს, სადაც პლატფორმის წევრები ოპერირებენ. კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე გზამკვლევის 2.2. ნაწილით განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

პლატფორმის სქემა უნდა განხორციელდეს „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ მეშვეობით, რომელსაც ხელი მოეწერება 2017 წელს, 4 წლის ვადით. განმცხადებელმა სააპლიკაციო ფორმასა და მის ყველა დანართში უნდა გაითვალისწინოს გლობალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ მოქმედების სრულ პერიოდს და ყოველწლიურ სამუშაო პროგრამას „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ პირველი წლისთვის. მაკოორდინირებელი უწყება უნდა იყოს უფლებამოსილი წარმოადგინოს პლატფორმის წევრები ნებისმიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში სააგენტოსთან, რომელიც შესაძლოა გაფორმდეს პლატფორმის შერჩევის შემთხვევაში. აღნიშნულ კონტექსტში, მაკოორდინირებელი უწყება უნდა იყოს უფლებამოსილი წარმოადგინოს ყველა სათანადო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პლატფორმის თითოეულ წევრს და საჭიროა ერთობლივი ქმედებების განსახორციელებლად.

გლობალური სამოქმედო გეგმა და პირველი წლის სამუშაო პროგრამა უნდა შეფასდეს წინამდებარე გზამკვლევის მე-9 ნაწილით განსაზღვრული დაჯილდოების კრიტერიუმების თანახმად და მე-14 ნაწილით დადგენილი დეტალური პროცედურების შესაბამისად. **წარმატების შემთხვევაში, განმცხადებლებთან დაიდება „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმება“**,

რომელიც მოიცავს პროექტის სამოქმედო გეგმის სრულ პერიოდს (4 წელი) და სპეციალურ შეთანხმებას პირველი წლისთვის.

შემდგომი 3 წლისთვის, „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ საფუძველზე შერჩეული განმცხადებლები მონვეულნი იქნებიან სააგენტოს მიერ „გამარტივებული საგრანტო განაცხადის“ წარდგენის მიზნით, რომელიც მოიცავს სამუშაო პროგრამას თითოეული კონკრეტული წლისთვის. შესაბამისი ყოველწლიური სამუშაო პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ საერთო გეგმასთან. ყოველწლიური სამუშაო პროგრამები შეფასდება სააგენტოს მიერ, „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების“ დასრულებამდე, დაჯილდოების კრიტერიუმების შესაბამისად. მხოლოდ ის განმცხადებლები, რომლებიც ისევე აკმაყოფილებენ დაჯილდოების კრიტერიუმებს, როგორც თავდაპირველად, პირველი წლისთვის „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების“ და სპეციალური შეთანხმების დადებისას, დაჯილდოვდებიან ყოველწლიური სპეციალური გრანტებით შემდგომი წლებისთვის.

3. ბანრიზი

2017 წლის საკონკურსო განაცხადის საორიენტაციო განრიგი:

ეტაპები	საორიენტაციო პერიოდის თარიღი და დრო
ა) საკონკურსო განაცხადის გამოქვეყნება	2017 წლის იანვარი
ბ) განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა	2017 წლის 6 აპრილი - 12:00 (შუადღე, ბრიუსელის დრო)
გ) შეფასების პერიოდი	<4 თვე
დ) ინფორმაცია განმცხადებლებისთვის	2017 წლის ივლისი
ე) „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების“ და სპეციალური საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა	2017 წლის აგვისტო - ოქტომბერი
ვ) მოქმედების დაწყების თარიღი	2017 წლის აპრილიდან 2017 წლის დეკემბრამდე

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა ემთხვევა განმცხადებლის ქვეყანაში საჯარო დასვენების დღეს, ვადის გაგრძელება ვერ მოხდება. განმცხადებლებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული, განაცხადების წარდგენის დაგეგმვის პროცესში.

4. ხელმისაწვდომი ბიუჯეტი

2017 წელს, „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ ფარგლებში, პლატფორმის პროექტების პირველი წლით განსაზღვრული აქტივობების თანადაფინანსებისთვის ხელმისაწვდომი ბიუჯეტი შეადგენს 5.5 მლნ ევროს.

პროგრამის მსვლელობის მანძილზე, ყოველწლიურად [ევროკომისია](#) გამოაქვეყნებს ყოველწლიურ სამუშაო პროგრამას, სადაც მითითებული იქნება თითოეული შემდგომი წლისთვის, შერჩეული პლატფორმებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ოდენობა.

ევროკავშირის ფინანსური წვლილი თითოეული პლატფორმისთვის ვერ აღემატება € 500.000,00 ან დაშვებული ხარჯების 80%-ს, რომელიც უფრო ნაკლებია. განმცხადებლებმა უნდა დაფარონ დარჩენილი თანხა საკუთარი სახსრებით ან მოიძიონ გარეშე დაფინანსების წყაროები.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაახლოებით 13 ევროპული პლატფორმის, მათ შორის მიმდინარე და ახალი პროექტების მხარდაჭერა.

სააგენტო იტოვებს უფლებას, არ გასცეს ხელმისაწვდომი თანხები სრულად.

5. განაცხადის მიღების მოთხოვნები

განცხადებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მათი გამოგზავნა უნდა მოხდეს არაუგვიანეს განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადისა, რომელიც მითითებულია წინამდებარე გზამკვლევის მე-3 ნაწილში.
- მათი წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, ელექტრონული განაცხადის ფორმის გამოყენებით (იხილეთ, წინამდებარე გზამკვლევის მე-14 ნაწილი);
- მათი წარდგენა უნდა მოხდეს ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე;
- ისინი შევსებული უნდა იყოს სრულად და მოიცავდეს ყველა საჭირო დანართს (როდესაც აუცილებელია ელექტრონული ხელმოწერა ან მსგავსი).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განიხილება მხოლოდ ბეჭდვითი სახით წარდგენილი განცხადებები.

განცხადებას თან უნდა ერთოდეს დაბალანსებული ბიუჯეტი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფორმაში. **აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა გახდება განცხადებაზე უარის თქმის საფუძველი.**

განცხადების წარდგენისთვის, განმცხადებლებმა თავიანთ სააპლიკაციო ფორმაში უნდა წარმოადგინონ მათთვის განკუთვნილი მონაწილეთა საიდენტიფიკაციო კოდი (PIC). PIC კოდის მიღება შესაძლებელია [განათლების, აუდიოვიზუალის, კულტურის, მოქალაქეობის და მოხალისეობის მონაწილეთა პორტალზე](#) ორგანიზაციის რეგისტრაციის გზით, რომელიც წარმოადგენს ევროკომისიის სხვა სამსახურების მიერ გამოყენებად მექანიზმს. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს უკვე გააჩნია PIC კოდი, რომელიც გამოიყენება სხვა პროგრამებისთვის (მაგალითად, კვლევითი პროგრამებისთვის) ან სხვა კონკურსებისთვის, რომლის მართვაც ხდება აღმასრულებელი სააგენტოს მიერ, იგივე PIC კოდი ვალიდური იქნება წინამდებარე საკონკურსო განაცხადისთვის.

[მონაწილეთა პორტალი](#) განმცხადებლებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთ სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია ატვირთონ ან განაახლონ და დაურთონ აღნიშნული მოთხოვნილ სამართლებრივ და ფინანსურ დოკუმენტაციას (მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ 14.2. ნაწილი).

6. დასაშვებობის კრიტერიუმები

განცხადებები, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს დაექვემდებარება დეტალურ შეფასებას.

6.1. უფლებამოსილი განმცხადებლები

წინამდებარე საკონკურსო განაცხადი შესაძლებელია შეივსოს ორგანიზაციების მიერ, რომელთაც გააჩნიათ **სამართალსუბიექტობა**. ევროპული პლატფორმის პროექტები ფარავს ორგანიზაციებს, რომლებიც, დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, ოპერირებენ კულტურისა და შემოქმედებით სექტორში და რომლებიც სამართლებრივი სტატუსით დაფუძნებულნი არიან კულტურის ქვეპროგრამის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში.

განცხადებები, რომლებიც მოიცავს წევრებს მხოლოდ აუდიოვიზუალური სექტორისგან, არ დაფინანსდებიან წინამდებარე სქემის მიხედვით. მიუხედავად ამისა, პლატფორმის პროექტები, რომლებიც მოიცავს უპირველესად წევრებს არა-აუდიოვიზუალური სექტორებიდან, თუმცა წარმოდგენილნი არიან აღნიშნული სექტორიდან, დაიშვებიან.

განცხადებები უნდა შეიცავდეს **საგარანტიო წერილს** წევრი ორგანიზაციებისგან, რომელიც ადასტურებს მათ მონაწილეობას.

განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი უმთავრესი მიზანია კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების არა-აუდიოვიზუალური ამოცანებისა და პრიორიტეტების მხარდაჭერა (მუხლი 2.1.).

განცხადების წარდგენისას, როგორც საკოორდინაციო უწყებამ, ასევე წევრმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ განცხადების წარდგენის საბოლოო ვადის თარიღის მდგომარეობით, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე გზამკვლევის მე-3 ნაწილის თანახმად, ისინი ოპერირებენ იურიდიული პირის სტატუსით სულ მცირე 2 წლის მანძილზე.

ფიზიკური პირებისთვის არ არის დაშვებული საგარანტო განაცხადის შეტანა.

6.1.1. ევროპული პლატფორმის პროექტები

ევროპული პლატფორმის პროექტები უნდა შედგებოდეს საკოორდინაციო უწყებისა და მინიმუმ 10 წევრი ორგანიზაციისგან. მაკოორდინირებელ უწყებას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი სტატუსი პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ კულტურის ქვეპროგრამაში მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში. წევრი ორგანიზაციები სამართლებრივად დაფუძნებულნი უნდა იყვნენ

სულ მცირე სხვადასხვა მონაწილე ქვეყანაში, საიდანაც 5 უნდა იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო ან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყანა. აუცილებელი იქნება წევრი ორგანიზაციების რაოდენობის დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

სქემის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს განვითარებას, „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებების“ მოქმედების განმავლობაში, პლატფორმის პროექტის წევრობაში შესაძლოა ცვლილებები შევიდეს. შესაძლოა მოხდეს დამატებითი წევრების მიღება წელიწადში ერთხელ, ყოველწლიურად გამარტივებული საგრანტო განაცხადის წარდგენის საფუძველზე. ყველა დამატებითი წევრი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე გზამკვლევით გათვალისწინებულ დებულებებს. საკოორდინაციო უწყებამ, დეტალურად, სტრუქტურირებული სახით უნდა უზრუნველყოს შერჩევის და დაჯილდოების პროცესი, მათ შორის, მათი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ახალი წევრების შერჩევა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი უარს იტყვის წევრობაზე, ევროპული პლატფორმების მინიმალური მოთხოვნების დაცვა უნდა მოხდეს.

სააგენტო იტოვებს უფლებას, არ მიიღოს გამარტივებული საგრანტო განაცხადი იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მოთხოვნილი დებულებები არ არის დაცული.

6.1.2. საკოორდინაციო უწყება

საკოორდინაციო უწყება შესაძლოა იყოს კომპანია, ასოციაცია ან ორგანიზაცია, რომელიც ოპერირებს კულტურის ან შემოქმედებით სფეროში და სრულად არის პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე.

საკოორდინაციო უწყება პასუხისმგებელი უნდა იყოს პლატფორმის მონიტორინგზე და წევრთა შერჩევაზე, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება სქემის მიზნებსა და პრიორიტეტებს.

საკოორდინაციო უწყებამ უნდა გააფორმოს და წარადგინოს წერილობითი შეთანხმება მის ორგანიზაციას და პლატფორმის წევრებს შორის, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის როლებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

საკოორდინაციო უწყება უფლებამოსილია უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა წევრებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე გზამკვლევის 11.1. ვ. ნაწილით გათვალისწინებულ დებულებებს.

6.1.3. პლატფორმის წევრები

პლატფორმის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყვნენ დაფუძნებულნი როგორც კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მოქმედი კომპანიები, ასოციაციები ან ორგანიზაციები;
- მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ევროპელი ხელოვანებისა და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირებისა და მათი ნამუშევრების ხელშეწყობა და წარმოჩენა;
- უნდა აკმაყოფილებდნენ საკოორდინაციო უწყების მიერ დადგენილ კრიტერიუმებს განცხადების წარდგენის პერიოდისთვის.

6.2. უფლებამოსილი ქვეყნები

იურიდიული პირების განცხადებები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ქვეყნების ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიაში, ჩათვლებიან დასაშვებად, თუ ისინი აკმაყოფილებენ პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ შექმნის შესახებ [#1295/2013 დირექტივის მე-8 მუხლით](#) განსაზღვრულ პირობებს და კომისიამ დაიწყო მოლაპარაკებები ქვეყანასთან:

ა) ევროკავშირის წევრი ქვეყნები და საზღვარგარეთის ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში, საბჭოს 2001/822/EC გადაწყვეტილების¹¹ 58-ე მუხლის თანახმად;

ბ) მოკავშირე ქვეყნები, კანდიდატი ქვეყნები და პოტენციური კანდიდატები, რომლებიც სარგებლობენ განვრიანებად მოქმედი სტრატეგიით, ევროკავშირის პროგრამებში მონაწილე იმ ქვეყნებისთვის განკუთვნილი ზოგადი პრინციპების, ზოგადი წესებისა და პირობების შესაბამისად, რომელიც დადგენილია შესაბამისი ჩარჩო შეთანხმებებით, ასოციაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით ან მსგავსი ხელშეკრულებებით;

გ) ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) შესახებ შეთანხმების მხარეებს, აღნიშნული შეთანხმების დებულებების შესაბამისად;

დ) შვეიცარიის კონფედერაცია, აღნიშნულ ქვეყანასთან ორმხრივი შეთანხმების გაფორმების საფუძველზე;

ე) ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნები, მათთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულებების ფარგლებში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებში.

სააგენტო უფლებამოსილია შეარჩიოს ევროკავშირის არანწევრი სახელმწიფოს განმცხადებლის წინადადება იმ პირობით, რომ დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის აღნიშნულ ქვეყნებთან შეთანხმებები გაფორმებული იქნება ზემოთ მოცემული დებულებით განსაზღვრულ პროგრამაში მონაწილეობისთვის.

¹¹ [Council Decision 2001/822/EC of 27 November 2001 on the association of the overseas countries and territories with the European Community \("Overseas Association Decision"\) \(OJ L 314, 30.11.2001, p. 1\).](#)

პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნების (რომლებიც აკმაყოფილებენ #1295/2013 რეგულაციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს) და ქვეყნების, რომლებიც შესაძლოა გახდნენ უფლებამოსილნი უახლოეს მომავალში (რომლებთანაც კომისიამ დაიწყო მოლაპარაკებები) განახლებული სია, შესაძლებელია იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://eacea.ec.europa.eu/creative-europe/library/eligibility-organisations-non-eu-countries_en

2017 წლის კონკურსისთვის, რომელიც გამოქვეყნდა 2017 წლის იანვარში, უფლებამოსილი ქვეყნების სია მოიცავს შემდეგს:

1. ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფო და საზღვარგარეთის ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში ევროსაბჭოს 2001/822/EC გადაწყვეტილების 58-ე მუხლის და საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ტერიტორიების ევროპის თანამეგობრობასთან მიერთების შესახებ ("Overseas Association Decision") ევროსაბჭოს 2001 წლის 27 ნოემბრის 2001/822/EC გადაწყვეტილების (OJ L 314, 30.11.2001, p. 1) შესაბამისად;
2. კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნები: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია და სერბეთი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თურქეთმა მიიღო გადაწყვეტილება 2017 წლის 1 იანვრიდან დაეტოვებინა პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“. შესაბამისად, თურქეთის ორგანიზაციები არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.
3. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) / ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) წევრი ქვეყნები: ისლანდია და ნორვეგია;
4. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნები: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

ისრაელი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა წინამდებარე კონკურსში, ვინაიდან სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროკავშირსა და ისრაელს შორის შეთანხმებას, რომელიც პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ მონაწილეობისთვის გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის. მის მიმართ გამოიყენება კომისიის [#2013/C_205/05](#) ცნობით გათვალისწინებული დასაშვებობის კრიტერიუმები.

6.3. დასაშვები საქმიანობა

საკოორდინაციო უწყებისთვის დასაშვებია საქმიანობა, რომელიც უკავშირდება შემდეგს:

- კრიტერიუმების დადგენას, პლატფორმის პროექტის და მისი წევრების განსაზღვრის, შერჩევის და მონიტორინგის მიზნით;
- პლატფორმის წევრებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციას, მონიტორინგს, ხელშეწყობას, შეფასებას და ზედამხედველობას, რაც უკავშირდება პლატფორმის მდგრად, სტრუქტურირებულ განვითარებას;
- საკომუნიკაციო და ბრენდინგის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, მათ შორის ხარისხიანი ევროპული ბრენდის შექმნას;
- მესამე მხარეთათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას (პლატფორმის პროექტის წევრები), რომლებიც ახორციელებენ დასაშვებ საქმიანობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკოორდინაციო უწყება უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ხელოვანი და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების - განსაკუთრებით ახალი ტალანტების - და მათი ნამუშევრების ხელშეწყობა;
- ახალი აუდიტორიების ფორმირება და განვითარება;
- ქსელების შექმნა: ინფორმაცია, ანიმაცია და კომუნიკაცია.

პლატფორმის წევრებმა უნდა განახორციელონ საქმიანობა შემდეგ სფეროებში:

- ევროპელი ხელოვანებისა და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების მობილობისა და წარმოჩენის ხელშეწყობა და მათი ნამუშევრების გაცვლა - განსაკუთრებით მათი, ვისაც ნაკლებად აქვს საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შესაძლებლობა - ქმედითი ევროპული პროგრამირების საშუალებით, რომელიც ეფუძნება ერთობლივ ხედვას კულტურისა და ხელოვნების სფეროში.
- პროექტის მოქმედების მანძილზე, სხვა ევროპული ქვეყნებიდან ახალი ტალანტების სულ მცირე 30%-ის უფრო მეტად წარმოჩენა და ხელშეწყობა;
- აუდიტორიების განვითარება, მათ შორის, ახალი, კერძოდ ახალგაზრდა აუდიტორიების განვითარება;
- საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში;
- ევროპული ღირებულებების და სხვადასხვა ქვეყნის კულტურების წარმოჩენა, რაც ხელს უწყობს მოქალაქეების ევროკავშირთან გაიგივებას;
- თანამედროვე ბიზნეს მოდელების განვითარება, მათ შორის ინოვაციური მოდელების გამოყენება, კულტურის და ხელოვნების ნამუშევრების წარმოჩენის და აუდიტორიის განვითარებისთვის.

საქმიანობა უნდა უკავშირდებოდეს კულტურის და შემოქმედებით სექტორებს წმინდად აუდიოვიზუალური აქტივობების გარდა. მიუხედავად ამისა, აუდიოვიზუალური საქმიანობა შესაძლოა დაიშვას იმდენად, რამდენადაც აღნიშნული წარმოდგენს კულტურის და შემოქმედებითი არა-აუდიოვიზუალური სექტორების დამხმარე საშუალებას.

7. დაუშვებლობის კრიტერიუმები

7.1. მონაწილეობაზე უარის თქმა

განმცხადებელს შესაძლოა უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ სახეზეა რომელიმე შემდეგი გარემოება:

ა) ორგანიზაცია გაკოტრებულია, გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის პროცედურების შედეგად, მისი აქციების მართვა ხდება ლიკვიდატორის ან სასამართლოს მიერ, შეთანხმებაშია კრედიტორთან, მისი ბიზნეს საქმიანობა შეჩერებულია ან იმყოფება მსგავს ვითარებაში, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

ბ) სასამართლოს საბოლოო მოსაზრებით ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელი არღვევს თავის ვალდებულებებს, რომელიც უკავშირდება გადასახადების გადახდას ან სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ქვეყანაში სადაც ის ოპერირებს, ქვეყანაში სადაც განთავსებულია ავტორიზაციის ოფისერი, ან ქვეყანაში სადაც ხდება საგრანტო ვალდებულების განხორციელება.

გ) სასამართლოს საბოლოო მოსაზრებით ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელი დამნაშავეა მძიმე პროფესიული გადაცდომისთვის, რომელიც გამოწვეულია იმ მოქმედი კანონმდებლობის ან კანონქვემდებარე აქტების ან ეთიკური ნორმების დარღვევით, რომელიც უკავშირდება განმცხადებლის მიერ შესასრულებელ საქმიანობას, ან თუ განმცხადებელი ჩართულია ნებისმიერ არასწორ საქმიანობაში, რომელსაც გავლენა აქვს მის პროფესიულ სანდოობაზე, სადაც ამგვარი ქცევა მიუთითებს არასწორ განზრახვაზე ან უხეშ გულგრილობაზე, მათ შორის, იგულისხმება რომელიმე შემდეგი, კერძოდ:

1. თალღითურად ან დაუდევრობით დამახინჯებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა განაცხადზე უარის თქმის საფუძვლების არარსებობის, შერჩევის კრიტერიუმების შესრულების, ან ხელშეკრულების შესრულებისას, საგრანტო ხელშეკრულების ან საგრანტო გადაწყვეტილების ნამდვილობის შემოწმებისთვის;
2. სხვა პირებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ამახინჯებს კონკურენციის პროცესს;
3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა;
4. დაჯილდოების პროცედურის განმავლობაში, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის მცდელობა.

5. კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების მცდელობა, რომელმაც შესაძლოა გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭება გამოიწვიოს დაჯილდოების პროცედურის დროს.

დ) სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებელი დამნაშავეა რომელიმე შემდეგისთვის:

1. თაღლითობა, რომელიც განმარტებულია ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ კონვენციის პირველი მუხლით, რომელიც შემუშავებულია საბჭოს 1995 წლის 26 ივლისის აქტის საფუძველზე;
2. კორუფცია, როგორც აღნიშნული განმარტებულია ევროპული გაერთიანების ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ოფიციალურ პირების ჩართულობით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლით, რომელიც შემუშავებულია საბჭოს 1997 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, და საბჭოს 2003/568/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების 2(1) მუხლით, ასევე, კორუფცია, რომელიც განსაზღვრულია იმ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი დებულებებით, სადაც განთავსებულია ავტორიზებული ოფიცერი, ქვეყანაში სადაც დაფუძნებულია განმცხადებელი ან ქვეყანაში სადაც ხდება საგრანტო ვალდებულების განხორციელება;
3. კრიმინალურ ორგანიზებაში მონაწილეობა, რომელიც განსაზღვრულია საბჭოს 2008/841/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების 2 მუხლით;
4. ფულის გათეთრება, ან ტერორიზმის დაფინანსება, რომელიც განსაზღვრულია ევროსაბჭოს და ევროპარლამენტის 2005/60/EC დირექტივის 1 მუხლით;
5. ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები ან დანაშაულები, რომელიც უკავშირდება ტერორისტულ ქმედებებს, რაც განსაზღვრულია საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების მე-3 მუხლით, შესაბამისად ამგვარი დანაშაულის წაქეზება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა ან ჩადენის მცდელობა, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 მუხლში;
6. ბავშვის შრომითი ექსპლოატაცია ან ადამიანით ვაჭრობის სხვა ფორმები, რომელიც განსაზღვრულია საბჭოს და ევროპარლამენტის 2011/36/EU დირექტივის მე-2 მუხლით.

ე) გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები შეთანხმების, საგრანტო ხელშეკრულების ან ევროკავშირის ბიუჯეტით დაფინანსებული საგრანტო გადაწყვეტილების შესრულებისას ძირითად ვალდებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რომელმაც გამოიწვია ნაადრევი შეწყვეტა, განზრახ მიყენებული ზარალი ან სხვა სახელშეკრულებო სანქციები, ან რომელიც აღმოჩენილ იქნა ავტორიზებული ოფიცრის, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF) ან აუდიტორთა სასამართლოს მიერ შემდგომი შემოწმების, აუდიტის ან გამოძიების შედეგად.

ვ) სასამართლოს საბოლოო მოსაზრებით ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ განმცხადებლის მიერ ადგილი ჰქონდა წესების დარღვევას, რომელიც განმარტებულია საბჭოს #2988/95 რეგულაციის (EC, Euratom) 1(2) მუხლის მნიშვნელობით.

ზ) სასამართლოს დადგენილების ან საჭიროების შემთხვევაში, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების არარსებობის დროს, განმცხადებელი იმყოფება ზემოაღნიშნულ (გ) - (ვ) პუნქტებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, რომელიც ეფუძნება კერძოდ:

1. ფაქტებს, რომელიც დადგენილია აუდიტორთა სასამართლოს, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF) ან შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების ან გამოძიების, ან სხვა შემოწმების, აუდიტის ან კონტროლის შედეგად, რომელსაც ახორციელებს ევროკავშირის ინსტიტუტის, ევროპის ოფისის ან ევროკავშირის უწყების ან ორგანოს ავტორიზებული ოფიცერი;
2. არასაბოლოო ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს დისციპლინურ ზომებს, რომელიც მიღებულია კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული ეთიკის სტანდარტების გამოყენების ნამდვილობის შემოწმებაზე;
3. ECB-ის, EIB-ის, ევროპის საინვესტიციო ფონდის ან საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს;
4. კომისიის გადაწყვეტილებებს, რომელიც უკავშირდება კავშირის კონკურსის წესების დარღვევას ან ეროვნული საკონკურსო უწყების წესების დარღვევას, რომელიც ეხება კავშირის ან კონკურენციის შესახებ ეროვნული კანონის დაუცველობას;
5. ევროკავშირის ინსტიტუტის, ევროპის ოფისის ან ევროკავშირის უწყების ან ორგანოს ავტორიზებული ოფიცრის გადაწყვეტილებას უარის თქმის შესახებ.

თ) როდესაც პირი, რომელიც არის განმცხადებლის ადმინისტრაციის, მენეჯმენტის ან ზედამხედველობის ორგანოს წევრი, ან გააჩნია წარმომადგენლობის, გადაწყვეტილების მიღების ან კონტროლის უფლებამოსილება აღნიშნულ განმცხადებელთან მიმართებით (მოიცავს კომპანიის დირექტორებს, მენეჯმენტის წევრებს ან ზედამხედველობის ორგანოებს, და შემთხვევებს, როდესაც პირი ფლობს აქციების უმეტესობას), იმყოფება ზემოაღნიშნულ (გ) - (ვ) პუნქტებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ გარემოებაში.

ი) როდესაც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იღებს განმცხადებლის ვალთან მიმართებით შეუზღუდავ ვალდებულებას, იმყოფება ზემოაღნიშნულ (ა) ან (ბ) პუნქტებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ გარემოებაში.

თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილი დაუშვებლობის რომელიმე კრიტერიუმს, მან უნდა მიუთითოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც აღმოფხვრის ამგვარ გარემოებას, ამასთან, უნდა მოახდინოს მისი საიმედოობის დემონსტრირება. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს, მაგ: ტექნიკური, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსის გამოყენებას რომელიც აღკვეთს შემდგომ გამოვლინებას, ზიანის ანაზღაურებას ან ჯარიმების გადახდას. წინამდებარე არ ვრცელდება მოცემული ნაწილის (დ) პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებზე.

ზემოაღნიშნული (გ) – (ვ) პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას, საბოლოო სასამართლო დადგენილების ან საჭიროების შემთხვევაში საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დროებით დაუშვებლად ცნოს განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობისგან, როდესაც მათი მონაწილეობა სერიოზულ და გარდაუვალ საფრთხეს უქმნის კავშირის ფინანსურ ინტერესებს.

7.2. უარი დაჯილდოების პროცედურაზე

განმცხადებელს არ მიენიჭება გრანტი აღნიშნული პროცედურისთვის, თუ:

- ა) არსებობს ზემოაღნიშნული 7.1. ნაწილით განსაზღვრული გარემოება;
- ბ) გააჩნია არასწორი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პროცედურის გასაგებლად ან საერთოდ არ წარუდგენია მსგავსი ინფორმაცია;
- გ) ადრეც იყო ჩართული საკონკურსო განაცხადის მომზადების პროცესში, რაც გულისხმობს არაჯანსაღ საკონკურსო პირობებს, რომელიც შეუძლებელია სხვაგვარად გამოსწორდეს.

წინამდებარე პროცედურაზე უარი და ადმინისტრაციული სანქციები (გარიცხვა ან ფინანსური ჯარიმა) შესაძლოა დაეკისროთ განმცხადებლებს ან საჭიროების შემთხვევაში, აფილირებულ უწყებებს, თუ პროცედურაში მონაწილეობისთვის სავალდებულოდ წარმოდგენილი დეკლარაციები ან ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება.

განმცხადებლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ სააგენტო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს თავის ინტერნეტ გვერდზე შემდეგი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება განცხადებაზე უარის თქმას და საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ჯარიმა, 7.1. ნაწილის (გ), (დ), (ე) და (ვ) პუნქტებთან დაკავშირებით¹²:

- (ა) დაინტერესებული განმცხადებლის დასახელება;
- (ბ) უარის თქმის გარემოება;

¹² წინამდებარე ინფორმაცია არ გამოქვეყნდება, თუ სახეზეა რომელიმე შემდეგი გარემოება:

- (ა) როდესაც აუცილებელია საგამოძიებო ან ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების კონფიდენციალურობის დაცვა;
- (ბ) როდესაც გამოქვეყნებამ შესაძლოა მიაყენოს არამართლმომიერი ზიანი დაინტერესებულ განმცხადებელს ან სხვაგვარად იყოს გაუმართლებელი პროპორციულობის პრინციპიდან ან ფინანსური ჯარიმიდან გამომდინარე;
- (გ) როდესაც აღნიშნული უკავშირდება ფიზიკურ პირს, ვარდა იმ შემთხვევისა, თუ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება გამართლებულია, მათ შორის, ქცევის სერიოზულობიდან გამომდინარე ან მისი, კავშირის ფინანსურ ინტერესებზე გავლენიდან. ამგვარ შემთხვევებში, ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილება ჯეროვნად უნდა იქნას განხილული პერსონალური მონაცემების და სხვა უფლებების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია #45/2001 (EC) რეგულაციაში (OJ L8, 12.01.2001, p.1).

(გ) უარის თქმის ხანგრძლივობა ან/და ფინანსური ჯარიმის რაოდენობა.

წინასწარი სამართლებრივი შეფასების დროს (მაგ: საბოლოო სასამართლო დადგენილების ან საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში), პუბლიკაცია უნდა მიუთითებდეს, რომ საბოლოო სასამართლო დადგენილება ან საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არ არსებობს. ამგვარ შემთხვევებში, ინფორმაცია განმცხადებლის ნებისმიერ პრეტენზიასთან, მის სტატუსთან და შედეგებთან, ასევე ავტორიზებული ოფიცრის გადასინჯული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებულია ფინანსური ჯარიმა, პუბლიკაცია ასევე უნდა მიუთითებდეს ჯარიმა გადახდილია თუ არა.

გადაწყვეტილებას ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით იღებს სააგენტო შესაბამისი სასამართლო დადგენილების, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ან წინასწარი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, გარემოებების მიხედვით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის ეკონომიკური ოპერატორისთვის შეტყობინების გაგზავნიდან სამი თვის შემდეგ.

გამოქვეყნებული ინფორმაციის აღება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც უარის თქმის პროცედურები დასრულდება. ფინანსური ჯარიმის შემთხვევაში, პუბლიკაციის აღება უნდა მოხდეს ჯარიმის გადახდიდან ექვსი თვის შემდეგ.

[\(EC\) #45/2001 რეგულაციის](#) თანახმად, სადაც საქმე ეხება პერსონალურ მონაცემებს, სააგენტომ უნდა აცნობოს განმცხადებელს თავისი უფლებების შესახებ, მოქმედი პირადი მონაცემების დაცვის შესახებ წესებისა და აღნიშნული უფლებების გამოყენების შესაძლებლობის პროცედურების შესახებ.

7.3. დამხმარე დოკუმენტაცია

განმცხადებლებმა ხელი უნდა მოაწერონ დეკლარაციას, რომელიც მოწმობს, რომ ისინი არ არიან ზემოაღნიშნული 7.1. და 7.2. ნაწილებით განსაზღვრულ მდგომარეობაში, საკონკურსო განაცხადის და შესაბამისი თანდართული ფორმის შევსებისას. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტალური მტკიცებულება უნდა იქნას წარმოდგენილი წინამდებარე დეკლარაციის დანართში, რომელიც სათანადოდ წარმოაჩენს რაიმე შემამსუბუქებელ ღონისძიებას.

დეკლარაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://eacea.ec.europa.eu/creative-europe/funding/european-platforms-062017_en

8. შერჩევის კრიტერიუმები

განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ შევსებული და ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ადასტურებს მათი იურიდიული პირის სტატუსს და ფინანსური და ოპერირების შესაძლებლობები შემოთავაზებული აქტივობების შესასრულებლად.

8.1. ოპერირების შესაძლებლობები

განმცხადებელ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ პროფესიული კომპეტენცია და კვალიფიკაცია, რომელიც აუცილებელია შემოთავაზებული პლატფორმის პროექტის განსახორციელებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ დეკლარაცია. დეკლარაციის გარდა განმცხადებლებმა, რომლებიც ითხოვენ 60 000 ევროზე მეტ თანხას, განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ელექტრონული ფორმა: პროექტის საერთო კოორდინაციასა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელი პირების CV ან ბიოგრაფია (მხოლოდ საკოორდინაციო უწყება);
- განაცხადის ფორმა: საკოორდინაციო უწყების და წევრი ორგანიზაციების სულ მცირე 2 წლის ძირითადი აქტივობების ამომწურავი სია კულტურისა და შემოქმედებით სექტორში.

სააგენტო შეათვასებს და გადაამოწმებს ქვე-კონტრაქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომელიც გამოიყენება განმცხადებლების მიერ შემოთავაზებული აქტივობების განხორციელებისთვის. ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი დეტალური განაცხადის ფორმის შესაბამის ნაწილებში.

8.2. ფინანსური შესაძლებლობები

განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ სტაბილური და საკმარისი დაფინანსების წყაროები, რათა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა სრული პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც აქტივობა ხორციელდება და მონაწილეობა მიიღონ მის დაფინანსებაში.

განმცხადებლების ფინანსური შესაძლებლობა შეფასდება შემდეგი დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლის წარდგენა ხდება განცხადებასთან ერთად:

- ა) დაბალი ღირებულების გრანტები ($\leq 60\,000$ ევრო)
 - დეკლარაცია
- ბ) გრანტები $> 60\,000$ ევროზე
 - დეკლარაცია

- უკანასკნელი ორი ფინანსური წლის ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშები და დანართები)¹³ რომლისთვისაც ანგარიშები დახურულია;
- ფინანსური შესაძლებლობების დამადასტურებელი ფორმა, რომელიც განაცხადის ფორმაშია და რომელიც იყვება დადგენილი ფინანსური მაჩვენებლების შესაბამისად, რათა გამოითვალოს კოეფიციენტები.

გ) ყველა შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად:

- აუდიტის ანგარიში, რომელიც დამტკიცებულია გარე აუდიტორის მიერ და ადასტურებს ანგარიშებს უკანასკნელი ორი ფინანსური წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური შესაძლებლობების დამადასტურებელი ფორმა, ან აუდიტის ანგარიში არ უნდა იქნას წარდგენილი განაცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადის განმავლობაში. აღნიშნული წარმოდგენილი სააგენტოს იქნება მოთხოვნის საფუძველზე და ნებისმიერ შემთხვევაში, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, თუ სააგენტო განსაზღვრავს, რომ ფინანსური შესაძლებლობები არ არის დამაკმაყოფილებელი, იგი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია;
- წარმოადგინოს შემოთავაზება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინასწარი დაფინანსების გარეშე;
- წარმოადგინოს შემოთავაზება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინასწარი დაფინანსებით, რომელიც ეტაპობრივად გადაიხდება;
- წარმოადგინოს შემოთავაზება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინასწარი დაფინანსებით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საბანკო გარანტიით (იხილეთ ქვემოთ მოცემული 11.4. ნაწილი);
- უარი თქვას განცხადებაზე.

¹³ საქმიანობის რისკის ანალიზის საფუძველზე, სააგენტო განსაზღვრავს წინამდებარე ინფორმაცია საჭირო იქნება მხოლოდ უკანასკნელი ერთი თუ ორი ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც ანგარიშები დახურულია.

9. დაჯილდოების კრიტერიუმები

უფლებამოსილი განმცხადებლები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტება	მაქსიმალური ქულა
<p>1. შესაბამისობა</p> <p>პლატფორმის სტრატეგია წინამდებარე კონკურსის მიზნებისა და პრიორიტეტების მიღწევისთვის, მათ შორის, პლატფორმის პროექტის კონკრეტული მოკლევადიანი - გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრება. წვერი ორგანიზაციების კრიტერიუმების განსაზღვრის ხარისხი და მონიტორინგის მიდგომა მათი კონტრიბუციისთვის, ასევე პლატფორმის სქემის მიზნებისა და პრიორიტეტების მიღწევა, მათ შორის კონკრეტული შეფასების ინდიკატორების განმარტება.</p>	25
<p>2. შინაარსის და საქმიანობის ხარისხი</p> <p>განსახორციელებელი საქმიანობის ხარისხი და ეფექტურობა და როგორ ხდება მათი ინტეგრირება პლატფორმის სტრატეგიასთან.</p>	20
<p>3. პოპულარიზაცია, კომუნიკაცია და ბრენდინგის სტრატეგია</p> <p>რა წარმოადგენს პლატფორმის მიდგომას კომუნიკაციის და განხორციელებული საქმიანობების გავრცელების თვალსაზრისით, მიღწეული შედეგები, ცოდნის გაზიარება და პლატფორმის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ არსებული უკეთესი პრაქტიკა.</p>	30
<p>4. პლატფორმის ხარისხი</p> <p>პლატფორმის მართვა, მათ შორის, მენეჯმენტი, ორგანიზება და მოცულობა, რომელიც განსაზღვრავს პლატფორმის ეფექტურ და მდგრად განხორციელებას.</p>	25

1. შესაბამისობა (25)

წინამდებარე კრიტერიუმი აფასებს პლატფორმის შესაბამისობას კონკურსის მიზნებსა და პრიორიტეტებთან და კერძოდ, კრიტერიუმების მდგრადობა, რომელიც დადგენილია საკოორდინაციო უწყების მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ შერჩეული წევრებს

- შეუძლიათ სქემის მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობა
- გააჩნიათ პროფილები კულტურის სფეროში

- ნაკისრი აქვთ ვალდებულება ხელი შეუწყონ ევროკავშირის ღირებულებების წარმოჩენას

წევრობის დადგენილი კრიტერიუმები და დამწყები შემოქმედი და ხელოვანი პირების პლატფორმის განსაზღვრება უნდა ეფუძნებოდეს იმ სექტორს, სადაც ოპერირებს პლატფორმა.

განაცხადი შეფასდება შემდეგი ქვე-კრიტერიუმების თანახმად:

- მოქმედების არეალის ხარისხი, თვალსაჩინოება და პლატფორმის სტრატეგიის რელევანტურობა ევროპული პლატფორმების სქემის ამოცანებთან და სამიზნე პროექტებთან.
- წევრობის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისობა პლატფორმის შემდეგ მიზნებთან:
 - ხელოვანებისა და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების მობილობის ხელშეწყობა - განსაკუთრებით მათი, ვისაც ნაკლებად აქვთ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შესაძლებლობა - ქმედითი ევროპული პროგრამირების საშუალებით;
 - ხელშეწყობის და წარმოჩენის ხელშეწყობა და ახალგაზრდა ტალანტების პრეზენტირება სხვა მონაწილე ქვეყნებიდან (მათ შორის „ახალი ტალანტის“ განსაზღვრება);
 - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით უფრო ფართო აუდიტორიის ფორმირების ხელშეწყობა;
 - ევროპული ღირებულებების და სხვადასხვა ქვეყნის კულტურების პოზიტიურად წარმოჩენა, რაც აამაღლებს ინფორმირებულობის დონეს და ხელს უწყობს მოქალაქეების ევროკავშირთან გაიგივებას;
- წევრობის დადგენილი კრიტერიუმების და დამწყები ხელოვანებისა და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების განსაზღვრების შესაბამისობა პლატფორმით განსაზღვრულ კონკრეტულ სექტორ(ებ)თან.
- ხარისხი, სადაც წევრობის კრიტერიუმები კონკრეტული, გაზომვადი და რეალისტურია.
- შეთავაზებული ინოვაციის ხარისხი:
 - ახალი პლატფორმებისთვის, აღნიშნული მოიცავს ხარისხს, რომლითაც წარმოდგენილი განაცხადით მოხდება მუშაობა იმ სექტორებში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაფარული ევროპული პლატფორმებით (არქიტექტურა, ცეკვა, მუსიკა, მუზეუმები, გამომცემლობა, ქუჩის ხელოვნება და თარგმანი), განსაკუთრებით, ვიზუალური ხელოვნების, მოდისა და დიზაინის, ოპერის და თეატრის სექტორებზე მუშაობა;
 - არსებული პლატფორმებისთვის, აღნიშნული ეხება ხარისხს, რომელსაც ახალი განაცხადი ანიჭებს პრიორიტეტს ევროპული პროგრამირების, ბრენდინგის, შესაბამისი სექტორ(ებ)ის სტრუქტურირების კუთხით და სხვა ინიციატივები,

რომელიც გააერთიანებს, გაახანგრძლივებს და უზრუნველყოფს სამუშაოების მდგრადობას.

- ხედვის სიმტკიცე და საიმედოობა პლატფორმის მოკლევადიანი და პოტენციურად გრძელვადიანი ზეგავლენის ჭრილში კონკრეტულ სექტორზე და კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს უფრო ფართო სპექტრზე.

2. შინაარსის და საქმიანობის ხარისხი (20)

წინამდებარე კრიტერიუმი აფასებს როგორ მოხდება პროექტის განხორციელება პრაქტიკაში (საქმიანობის ხარისხი, შედეგები, პროექტზე პასუხისმგებელი პირების გამოცდილება და სამუშაო ღონისძიებები).

- საქმიანობის შესაბამისობა, სიცხადე და ხარისხი, რომლის შეთავაზებაც ხდება საკოორდინაციო უწყების მერ პლატფორმის წევრებისთვის, რათა მათ იმუშაონ ეფექტურად და წარმატებულად.
- პლატფორმის საქმიანობების შედეგების ხარისხის გასაზომად განსაზღვრული მეთოდების სიცხადე და შესაფერისობა.
- საკოორდინაციო და წევრი გუნდების შესაბამისობა და ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში და ახორციელებენ მენეჯმენტს ორგანიზაციული უნარების, გამოცდილების გაზიარების, კომუნიკაციის, ენის კუთხით და სხვა.
- სამუშაო პროგრამასა და შედეგში ბიუჯეტის და ადამიანური რესურსის განაწილების ადეკვატურობა, შესაბამისობა და სიცხადე (თითოეულ აქტივობას აქვს ბიუჯეტი და ბიუჯეტის თითოეული კომპონენტი უკავშირდება აქტივობას).
- პროექტის განრიგის სიცხადისა და რელევანტურობის ხარისხი.
- ყოველწლიური სამუშაო პროგრამის სიცხადე, შესაბამისობა და შედეგი გლობალურ სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.

3. პოპულარიზაცია, კომუნიკაცია და ბრენდინგის სტრატეგია (30)

წინამდებარე კრიტერიუმი აფასებს პლატფორმის მიდგომას მონაწილეთა საქმიანობის ხელშეწყობისა და კომუნიკაციის კუთხით. აღნიშნულის მიზანია პროექტის ეფექტურობის მაქსიმალურად წარმოჩენა ბრენდინგის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების გზით, რომელიც განსაზღვრავს პლატფორმის წევრებს როგორც მაღალ კულტურულ ოპერატორებს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას მოახდინონ ევროკავშირის ღირებულებების და ქვეპროგრამის მიზნების ხელშეწყობა.

- რამდენად მკაფიო და სათანადოა საქმიანობის კომუნიკაციისა და გავრცელების სტრატეგია თავისი წევრებისთვის, კერძოდ, ამოცანები, სამიზნე ჯგუფები, მექანიზმები, არხები, მედია, სავარაუდო დაფარვა, გავლენა და განრიგი?
- რამდენად კონკრეტული, ეფექტიანი და ხელმისაწვდომია პლატფორმის ბრენდინგის სტრატეგია, მაგ: ხარისხიანი ბრენდის შექმნა, წარმოჩენა და კომუნიკაცია?
- რამდენად კარგად შეძლებს საკოორდინაციო უწყება უზრუნველყოს და გაზომოს, რომ პლატფორმის წევრებმა მონაწილეობა მიიღონ პროექტის საერთო საკომუნიკაციო სტრატეგიაში?
- რამდენად მკაფიო, ხელმისაწვდომი და კარგად გამართლებულია მონაცემები და ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიაზე პლატფორმის გავლენის და შედეგების შესახებ?
- რამდენად ნათელი და ეფექტურია ღონისძიებები, რომ უზრუნველყოს რომ ევროკავშირის ხელშეწყობა წარმოჩენილი იქნება პლატფორმის სხვა წევრებისთვის პროექტის მსვლელობის და მისი დასრულების შემდეგ?

4. პლატფორმის ხარისხი (25)

წინამდებარე კრიტერიუმი აფასებს მოცულობას, რომლითაც პროექტის ზოგადი ორგანიზების და კოორდინაციის ფარგლებში მოხდება აქტივობების ეფექტურად განხორციელება.

- რამდენად კონკრეტული და რელევანტურია პლატფორმის წევრების შერჩევის და მონიტორინგის პროცესი, მათ შორის, მესამე მხარეთა გრანტების მართვა?
- პროექტის სათანადოდ და მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფისა და რისკების შეფასების გეგმების სიცხადე და შესაბამისობა.
- პლატფორმის ფარგლებში წარმატებული მართვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების, მათ შორის წევრებთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმებების ხარისხი, სიცხადე და ყოვლისმომცველობა.
- ერთობლივი საქმიანობების ხარისხი და შესაბამისობა და საშუალება, რომლითაც მიიღწევა პლატფორმის მიზნები. აღნიშნული მოიცავს ურთიერთსწავლელას კულტურის სფეროში მოღვაწე მენეჯერებს შორის, მათ კონტრიბუციას აუდიტორიის განვითარებას, კონტაქტების სფეროში და სხვა.
- გეგმების სიცხადე, ხარისხი და მისწრაფება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პლატფორმის მდგრადობა ევროკავშირის დაფინანსების პერიოდის გასვლის შემდგომ.
- გეოგრაფიული დაფარვა - მოცულობა და საშუალებები, რომლითაც პლატფორმა მიზნად ისახავს უზრუნველყოს წევრების მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნიდან.

10. სამართლებრივი ვალდებულებები

სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში, „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმება“ (FPA) და სპეციალური შეთანხმება დაფინანსების პირველი წლისთვის, რომელიც შედგენილია ევროში და დეტალურად აღწერს დაფინანსების პირობებსა და დონეს, ასევე პროცედურა, უნდა გაეგზავნოს ბენეფიციარს, მხარეთა შორის ვალდებულებების ფორმალიზების მიზნით.

„პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების“ (FPA) ორ ეგზემპლარს უნდა მოეწეროს ხელი თავდაპირველად ბენეფიციარის მიერ და დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს სააგენტოს. სააგენტო საბოლოოდ მოაწერს ხელს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გრანტის მინიჭება არ განსაზღვრავს მომდევნო წლებში აღნიშნულის გაცემის უფლებამოსილებას.

11. ფინანსური დებულებები

11.1. ზოგადი პრინციპები

ა) არაკუმულაციური ჯილდო

ქმედება შეიძლება დაფინანსდეს ევროკავშირის ბიუჯეტიდან მხოლოდ ერთხელ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაფინანსდეს ერთი და იგივე ხარჯები ორჯერ, ევროკავშირის ბიუჯეტიდან. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, განმცხადებლებმა უნდა მიუთითონ განაცხადში ევროკავშირის დაფინანსების წყაროები და ოდენობა, რომელიც მათ მიიღეს ან გამოიყენეს იგივე ქმედებისთვის ან საქმიანობის ნაწილისთვის ან აღნიშნულის ფუნქციონირებისთვის იმავე ფინანსური წლის განმავლობაში, ასევე ნებისმიერი სხვა დაფინანსების შესახებ, რომელიც მიიღეს ან გამოიყენეს იგივე აქტივობისთვის.

ბენეფიციარებმა, რომელთაც გააჩნიათ მოქმედი „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმება“ და რომლებიც ხელმეორედ აკეთებენ განაცხადს 2017 წლის კონკურსის პირობების შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ, რომ არ ხდება დროში დამთხვევა ევროპული პლატფორმების სქემით გათვალისწინებულ მოქმედი გრანტის ხანგრძლივობასა და პოტენციური სამომავლო გრანტის დაწყების თარიღს შორის.

ბ) უკუქცევითი ძალის არარსებობა

გრანტი არ გაიცემა რეტროსპექტულად, უკვე შესრულებული აქტივობებისთვის.

გრანტის გაცემა შესაძლებელია აქტივობისთვის, რომელიც უკვე დაწყებულია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელს შეუძლია დაასაბუთოს აქტივობის დაწყების საჭიროება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

ასეთ შემთხვევებში, დაფინანსებისთვის განკუთვნილი ხარჯები არ უნდა ყოფილიყო განეული საგრანტო განაცხადის წარდგენის თარიღამდე.

გ) თანადაფინანსება

თანადაფინანსება გულისხმობს, რომ რესურსები, რომელიც აუცილებელია აქტივობის განსახორციელებლად, შესაძლოა სრულად არ დაიფაროს ევროკავშირის გრანტით.

საქმიანობის თანადაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს:

- ბენეფიციარის საკუთარი სახსრებით;

- საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლით;
- მესამე მხარეთა მიერ განხორციელებული ფინანსური კონტრიბუციით.

დ) დაბალანსებული ბიუჯეტი

აქტივობის მიახლოებითი ბიუჯეტი თან უნდა ერთოდეს განაცხადს. შემოსავალი და ხარჯი უნდა აბალანსებდეს ერთმანეთს, მათ შორის ევროკავშირის გრანტს.

ბიუჯეტი უნდა იყოს განწერილი ევროში.

განმცხადებლებმა, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ ხარჯების განწევა არ მოხდება ევროში, უნდა გამოიყენონ შემდეგ მისამართზე გამოქვეყნებული გაცვლითი კურსი, http://ec.europa.eu/budget/contracts_grants/info_contracts/inforeuro/inforeuro_en.cfm%20

რომელიც მოქმედი იქნება წინამდებარე კონკურსის გამოქვეყნების თარიღისთვის.

ე) განხორციელების შესახებ ხელშეკრულებები/ქვეკონტრაქტები

როდესაც აქტივობის განხორციელება მოითხოვს შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას (განხორციელების შესახებ ხელშეკრულებები), ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს სახელშეკრულებო ფასის შეთავაზება, რომელიც იქნება საუკეთესო ღირებულება ან ყველაზე დაბალი ფასი (საჭიროების შემთხვევაში), რაც თავიდან აიცილებს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოს დოკუმენტაციის შენახვას აუდიტის შემთხვევაში.

60 000 €-ზე მეტი ღირებულების შესყიდვის შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა დაიცვას სპეციალური წესები, რომელიც განსაზღვრულია საკონკურსო განაცხადზე თანდართული საგრანტო ხელშეკრულებით. გარდა ამისა, ბენეფიციარმა მკაფიოდ უნდა განწეროს სატენდერო პროცედურა და უზრუნველყოს დოკუმენტაციის შენახვა აუდიტის შემთხვევაში.

სუბიექტებმა, რომლებიც მოქმედებენ ხელშემკვრელი ორგანოების სახით, ევროკავშირის 2014/24/EU¹⁴ დირექტივის ან ევროკავშირის 2014/25/EU¹⁵ დირექტივის მნიშვნელობით, უნდა დაიცვან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი ეროვნული წესები.

ქვეკონტრაქტის გაფორმება, კერძოდ, კონკრეტული ამოცანების ან აქტივობების გაცემა, რომელიც წარმოადგენს შემოთავაზებული წინადადებით განსაზღვრული საქმიანობის ნაწილს და რომელიც ვერ შესრულდება უშუალოდ ბენეფიციარის მიერ, უნდა აკმაყოფილებდეს

¹⁴ Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on public procurement and repealing Directive 2004/18/EC

¹⁵ Directive 2014/25/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on procurement by entities operating in the water, energy, transport and postal services sectors and repealing Directive 2004/17/EC

პირობებს, რაც განსაზღვრულია საქმიანობის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით (ზემოაღნიშნულის თანახმად) და ასევე, შემდეგ გარემოებებს:

- შესაძლოა მოიცავდეს აქტივობის შემლუღული ნაწილის განხორციელებას;
- გამართლებული უნდა იყოს საქმიანობის ხასიათიდან და საჭიროებიდან გამომდინარე;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოთავაზებაში ან მოპოვებული უნდა იყოს სააგენტოს წინასწარი წერილობითი ნებართვა.

გ) მესამე მხარეთა ფინანსური მხარდაჭერა

განცხადებები შესაძლოა ითვალისწინებდეს მესამე მხარეთათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. განცხადებები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. საქმიანობის ტიპების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლის გამოც მესამე მხარემ შესაძლოა მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე საკონკურსო განაცხადის 6.3. ნაწილით.
2. პირთა ან პირთა კატეგორიების განსაზღვრება, რომელთაც შესაძლოა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა (იხილეთ 6.1.3. ნაწილი)
3. ფინანსური მხარდაჭერის მინიჭების კრიტერიუმები
4. თითოეული მესამე მხარისთვის მისანიჭებელი მაქსიმალური ოდენობა და აღნიშნულის განსაზღვრის კრიტერიუმები

მესამე მხარისთვის გასაცემი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ევროს.

შერჩეული პლატფორმის პროექტის წერილობითი შეთანხმება საკოორდინაციო უწყებასა და წევრ ორგანიზაციებს შორის უნდა მოიცავდეს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის პრინციპებს. აღნიშნული შეადგენს ყოველწლიური სპეციალური საგრანტო ხელშეკრულების ნაწილს.

11.2. დაფინანსების ფორმები

გრანტები დაფინანსდება დაშვებული ხარჯების ანაზღაურებით, სტანდარტულ ფასთან ერთად, რომელიც ფარავს ზედნადებ ხარჯებს. გრანტები გამოანგარიშდება დეტალური სავარაუდო ბიუჯეტის საფუძველზე, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს ხარჯებს, რომლებიც ევროკავშირის დაფინანსებას ითვალისწინებს.

შესაბამისად, სრული დაშვებული ხარჯების ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია სავარაუდო ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს სხვა წყაროებიდან და არა ევროკავშირის გრანტით.

გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაშვებულ ხარჯებს და მოთხოვნილ ოდენობას. ოდენობა უნდა გამოითვლებოდეს ევროში.

აღმასრულებელი სააგენტოს მიერ განაცხადის მიღება არ ნიშნავს გრანტის გაცემას იმ ოდენობით, რომელიც მოთხოვნილია ბენეფიციარის მიერ.

მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა

ევროკავშირის ყოველწლიური გრანტი მაქსიმალური პერიოდისთვის, 4 წლისთვის, შემოიფარგლება მაქსიმალური თანადაფინანსებით 500.000,00 ევროს ან დაშვებული ხარჯების 80%-ით, რომელიც უფრო ნაკლებ თანხას წარმოადგენს.

11.2.1. დაშვებული ხარჯები

დაშვებული ხარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც გრანტის მიმღების მიერ რეალურად არის გაწეული და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- აღნიშნული გაწეულია აქტივობის მსვლელობის პერიოდში, როგორც განერილია საგრანტო ხელშეკრულებაში, გარდა ხარჯებისა, რომელიც უკავშირდება საბოლოო ანგარიშებსა და სერტიფიკატებს.

დაშვებული ხარჯების პერიოდის ათვლა დაიწყება მე-3 ნაწილით განსაზღვრული დებულებების თანახმად და დადგენილი იქნება სპეციალური საგრანტო შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი დაასაბუთებს თავისი საქმიანობის დაწყების აუცილებლობას ხელშეკრულების ხელმოწერამდე, შესაძლოა მოხდეს აღნიშნულის გრანტით გადაფარვა. ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოხდება საქმიანობის დაფინანსება, რომელიც დაწყებულია საგრანტო განაცხადის წარდგენის თარიღამდე (იხილეთ მე-11.1. ბ. ნაწილი).

- აღნიშნული მითითებულია აქტივობისთვის განკუთვნილ საერთო სავარაუდო ბიუჯეტში;
- აღნიშნული გაწეულია აქტივობასთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება საგრანტო თანხას და აუცილებელია აქტივობის განხორციელებისთვის;
- აღნიშნული იდენტიფიცირებადი და გადამოწმებადია, კერძოდ, აღრიცხულია ბენეფიციარის საბუღალტრო ჩანაწერებში და განსაზღვრულია იმ ქვეყნის მოქმედი საბუღალტრო სტანდარტებით, სადაც განთავსებულია ბენეფიციარი და ასევე, ბენეფიციარის ხარჯების აღრიცხვის ზოგადი პრაქტიკის შესაბამისად;
- აღნიშნული შეესაბამება საგადასახადო და სოციალური კანონმდებლობის მოქმედ მოთხოვნებს;
- აღნიშნული არის გონივრული, გამართლებული და შეესაბამება ჯანსაღი ფინანსური მართვის მოთხოვნებს, კერძოდ, ეკონომიკისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

ბენეფიციარის შიდა საბუღალტრო და აუდიტორული პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს ხარჯებისა და შემოსავლის თანხვედრას იმ აქტივობასთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება ბუღალტრულ აღნიშვნებსა და დამხმარე დოკუმენტაციას.

11.2.1.1. დაშვებული პირდაპირი ხარჯები

აქტივობისთვის განსაზღვრული დაშვებული პირდაპირი ხარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით არის განსაზღვრებადი, რამდენადაც კონკრეტული ხარჯები პირდაპირ უკავშირდება საქმიანობის განხორციელებას და რომელიც შესაძლოა უშუალოდ დარეგისტრირდეს.

უფრო კონკრეტულად, შემდეგი პირდაპირი ხარჯები მიიჩნევა დაშვებულ ხარჯებად, რამდენადაც აღნიშნული აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს:

- შრომითი ხელშეკრულების ან მისი ექვივალენტური აქტის საფუძველზე განმცხადებელთან მომუშავე თანამშრომლების ხარჯები, რომელიც მოიცავს ფაქტობრივ ხელფასებს და სოციალურ დაზღვევას და სხვა სავალდებულო ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია მათი ანაზღაურებით, რამდენადაც აღნიშნული ხარჯები უკავშირდება განმცხადებლის, ან საჭიროების შემთხვევაში, მისი პარტნიორების, ზოგადი ანაზღაურების პოლიტიკას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: სხვა ორგანიზაციების თანამშრომლების ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადახდა ან ანაზღაურება ხდება უშუალოდ ბენეფიციარის მიერ. აღნიშნული ხარჯები შესაძლოა მოიცავდეს დამატებით ანაზღაურებას, მათ შორის გადასახადებს, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულის ხასიათის მიუხედავად, იმდენად, რამდენადაც იგი გადაიხდება თანმიმდევრული ფორმით, როდესაც საჭიროა მსგავსი ტიპის სამუშაო ან საექსპერტო დახმარება და გამოყენებული დაფინანსების წყაროსგან დამოუკიდებლად;

ეროვნული ადმინისტრაციების შესაბამისი პერსონალის ხელფასი დაშვებულია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული უკავშირდება საქმიანობის ხარჯებს, რომელსაც შესაბამისი საჯარო დაწესებულება არ განახორციელებდა, რომ არ შემუშავებულიყო შესაბამისი პროექტი;

- დღიური სარგო (შეხვედრებისთვის, ევროპული კონფერენციებისთვის და სხვა), რამდენადაც აღნიშნული უკავშირდება ბენეფიციარის ზოგად პრაქტიკას და არ აჭარბებს კომისიის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებულ შკალას;
- მგზავრობის ხარჯები (შეხვედრებისთვის, ევროპული კონფერენციებისთვის და სხვა), რამდენადაც აღნიშნული უკავშირდება მგზავრობასთან დაკავშირებით ბენეფიციარის ზოგად პრაქტიკას და არ აჭარბებს კომისიის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებულ შკალას;
- აღჭურვილობის ცვეთის ღირებულება (ახალი ან მეორადი), სააგენტოს მიერ მხედველობაში შესაძლოა იქნას მიღებული მხოლოდ აღჭურვილობის ნაწილობრივი ცვეთა, რომელიც შეესაბამება საქმიანობის ხანგრძლივობას და საქმიანობის მიზნებისთვის ფაქტობრივი გამოყენების მაჩვენებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

აღნიშნულის გამოყენების ხასიათი ან/და კონტექსტი ასაბუთებს სააგენტოს მიერ სხვაგვარად მოპყრობის აუცილებლობას;

- მოხმარებად მასალასა და მარაგთან დაკავშირებული ხარჯები, რამდენადაც შესაძლებელია მათი განსაზღვრა და მიკუთვნება კონკრეტული საქმიანობისთვის;
- სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯები, რომელიც გაფორმებულია ბენეფიციარების ან მისი პარტნიორების მიერ, საქმიანობის განხორციელების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებით“ და კონკრეტული საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია;
- მესამე მხარეთათვის გაცემული ფინანსური მხარდაჭერის ხარჯები, იმის გათვალისწინებით, რომ „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებით“ და კონკრეტული საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია;
- ხარჯები, რომელიც გამომდინარეობს იმ მოთხოვნებიდან, რაც უკავშირდება საქმიანობის შესრულებას (ინფორმაციის გავრცელება, საქმიანობის კონკრეტული შეფასება, თარგმანი, ხელახალი წარმოება, და სხვა);
- წინასწარი დაფინანსების გარანტიასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც გადახდილია გრანტის ბენეფიციარის მიერ, საჭიროების შემთხვევაში;
- ხარჯები, რომელიც უკავშირდება გარე აუდიტს, რომელიც საჭირო იქნება გადახდის მოთხოვნის ხელშესაწყობად;
- დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც არ ექვემდებარება გამოქვითვას ყველა აქტივობისთვის, რომელიც არ წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებში დაწესებულებებისთვის განკუთვნილ საქმიანობას
- საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს მესამე ქვეყნებთან დაკავშირებულ ხარჯებს (მაგ: ხარჯები, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ორგანიზაციები, რომელიც დაფუძნებულნი არიან მესამე სახელმწიფოებში და საქმიანობა, რომელიც სრულდება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე), ბენეფიციარის მიერ განეული შესაბამისი ხარჯების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საქმიანობისთვის დაშვებული სრული ხარჯების 30%-ს.

11.2.1.2. დაშვებული არაპირდაპირი ხარჯები (ადმინისტრაციული ხარჯები)

- ფიქსირებული თანხა, რომელიც უტოლდება დაშვებული პირდაპირი ხარჯების 7%-ს, დაიფარება არაპირდაპირი ხარჯებით, რომელიც წარმოადგენს ბენეფიციარის ზოგად, ადმინისტრაციულ ხარჯებს და რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს საქმიანობასთან მიკუთვნებულ ფასიან ქმედებად (მაგ: კომპანიის ოფისის ქირა, განათება, გათბობა,

ელექტროენერჯია, საოფისე საშუალებები, სადამზღვევო მომსახურება, ტელეკომუნიკაციები, საფოსტო გადასახადები).

არაპირდაპირი ხარჯები, შესაძლოა არ მოიცავდეს ხარჯებს, რომელიც ბიუჯეტის ცალკე თავშია გაყვანილი.

აღნიშნული ხარჯები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ნაგებობები და მასთან დაკავშირებული ხარჯები (მაგ: ოფისის ქირა, დამზღვევა, სხვა)
- საოფისე ხარჯები და სახარჯო მასალები (მაგ: ელექტროენერჯია, გათბობა, სხვა)

განმცხადებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია იღებს მოქმედ გრანტს, არაპირდაპირი ხარჯები აღნიშნული საქმიანობისთვის აღარ დაიშვება.

11.2.2. დაუშვებელი ხარჯები

შემდეგი ხარჯები ვერ ჩაითვლება დაშვებულად:

- მოგება საკუთარი საქმიანობის კაპიტალიდან;
- ვალი და ვალის მომსახურება;
- დავალიანება ან დანაკარგი;
- პროცენტები;
- სადაო ვალები;
- სავალუტო დანაკარგები
- სააგენტოს მიერ ბენეფიციარის ბანკში გადარიცხვის ხარჯები
- ბენეფიციარის მიერ დეკლარირებული ხარჯები, რომელიც იფარება ევროკავშირის გრანტით გათვალისწინებული სხვა საქმიანობით. კერძოდ, არაპირდაპირი ხარჯები ვერ იქნება გათვალისწინებული გრანტით იმ აქტივობისთვის, რომელიც უნდა განახორციელოს ბენეფიციარმა, რომელსაც უკვე მიღებული აქვს მოქმედი გრანტი ევროკავშირის ბიუჯეტიდან საკითხის აქტუალურობის პერიოდის განმავლობაში.
- ნატურით შენატანი
- გადაჭარბებული ან არაგონივრული ხარჯები

11.3. საბოლოო საგრანტო თანხის გაანგარიშება - დამხმარე დოკუმენტაცია

ბენეფიციარისთვის გასაცემი საგრანტო თანხის საბოლოო ოდენობა განისაზღვრება ქმედების დასრულების შემდეგ, გადახდის შესახებ მოთხოვნის დამტკიცებისას, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

- საბოლოო ტექნიკურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს განხორციელების დეტალებს და პროექტის შედეგებს, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, მათ შორის, საჯარო შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც გათვალისწინებულია 12.3. ნაწილით.
- რეალურად განეული ხარჯების საბოლოო ფინანსურ ანგარიშგებას;

ვერსია 1

გრანტების შემთხვევაში, რომელიც უტოლდება ან დაბალია 60 000 ევროზე, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს დამხმარე დოკუმენტაციის შემდეგი ნიმუში:

საბიუჯეტო საგანი / დასახელება	ნიმუში რომელიც უნდა დაერთოს საბოლოო ფინანსურ ანგარიშს
პერსონალი	თანამშრომლებთან დაკავშირებული სამი ყველაზე მაღალი კონსოლიდირებული ხარჯი (მაგ: პერსონალის ხარჯი), სრული პერიოდისთვის.
ქვეკონტრაქტები	სამი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქვეკონტრაქტი
მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები	წინამდებარე ბიუჯეტის დასახელებით გათვალისწინებული უმაღლესი ხარჯების 25 % ¹⁶

თანდართული დოკუმენტაციის მაგალითი, რომლის წარდგენაც უნდა მოხდეს საბოლოო გადახდის უზრუნველსაყოფად:

- 1) პერსონალის ხარჯები: დასაქმების შესახებ ხელშეკრულება (ან ექვივალენტური დოკუმენტი), გადახდის ბლანკები (ან ანაზღაურების ქვითრები), გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თუ აღნიშნულს კონკურსი ითვალისწინებს, დატვირთვის გრაფიკი ან ექვივალენტური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენს სამუშაო ძალისხმევას (მაგ: სამუშაო დღეების რაოდენობა);
- 2) ქვეკონტრაქტები: შეთავაზებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულებები, ანგარიშთაქტურები და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- 3) მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები: ბილეთების და ჩასხდომის ბარათების ასლი, სასტუმროს ინვოისი (და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება).

¹⁶ ბენეფიციარი უფლებამოსილია აირჩიოს დამხმარე დოკუმენტაციის ნიმუში. თუმცა, RAO უფლებამოსილია შეცვალოს მოგზაურობასთან დაკავშირებული პროცენტული მაჩვენებელი და საარსებო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამასთან დაკავშირებული რისკი არსებითია.

ვერსია 2

გრანტების შემთხვევაში, რომელიც აღემატება 60 000 ევროს, თუმცა ნაკლებია 750 000 ევროზე, ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს, საბოლოო გადახდასთან ერთად, „საბოლოო ფინანსური ანგარიშის შესახებ ფაქტობრივი დასკვნის ანგარიში - I ტიპი“, უფლებამოსილი აუდიტორის მიერ წარმოებული ან საჯარო უწყებების შემთხვევაში - კომპეტენტური და დამოუკიდებელი საჯარო მოხელის მიერ.

პროცედურა და ფორმატი, რომლის დაცვაც უნდა მოხდეს უფლებამოსილი აუდიტორის მიერ ან საჯარო უწყებების შემთხვევაში - კომპეტენტური და დამოუკიდებელი საჯარო მოხელის მიერ, დეტალურად არის განმარტებული „სახელმძღვანელო მითითებებში“.

http://eacea.ec.europa.eu/about/documents/guidance-notes-audit-type-i_11.2012_en.pdf

„სახელმძღვანელო მითითებებით“ დადგენილი ანგარიშის ფორმატის გამოყენება არის სავალდებულო.

თუ ბენეფიციარის მიერ განეული შესაბამისი ხარჯები არის განსაზღვრულზე ნაკლები, სააგენტო გამოიყენებს თანადაფინანსების განაკვეთს, რომელიც დადგენილია სპეციალური საგრანტო ხელშეკრულებით რეალურად განეულ ხარჯებთან მიმართებით.

იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების შეთანხმების თანდართული განაცხადით გათვალისწინებული დაგეგმილი საქმიანობა ვერ შესრულდება ან აშკარად არასათანადოდ სრულდება, საბოლოო გრანტი შესაბამისად შემცირდება.

არაკომერციული წესი

ბენეფიციარის საქმიანობის ფარგლებში, ევროკავშირის გრანტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ მოგების მიღების მიზანი. მოგება შესაძლოა განისაზღვროს როგორც ბენეფიციარის მიერ განეული შესაბამისი ხარჯების შემოსავლების დანამატი, როდესაც მოთხოვნა ეხება ბალანსის გადახდას. აღნიშნულთან დაკავშირებით, როდესაც სახეზეა მოგება, [სააგენტო](#) უფლებამოსილი იქნება აღადგინოს მოგების პროცენტული ოდენობა, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის კონტრიბუციას ბენეფიციარის მიერ რეალურად განეულ დაშვებულ ხარჯებთან მიმართებით, რომელიც აუცილებელია საქმიანობის ან სამუშაო პროგრამის განსახორციელებლად. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება გრანტებზე, რომელიც ნაკლებია ან უტოლდება 60 000 ევროს.

არაკომერციული მოწმობის შემოწმება არ ვრცელდება დაბალი ღირებულების გრანტებზე, მაგალითად, რომელიც $\leq 60\,000$ ევროს.

11.4. გადახდის პირობები

წინასწარი გადასახადი, რომელიც შეესაბამება საგრანტო თანხის 70%-ს გადაირიცხება, ბენეფიციართან 30 დღის განმავლობაში რომელიმე თარიღით, როდესაც ბოლო ორი მხარე მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ ყველა მოთხოვნილი გარანტია მიღებულია.

სააგენტო დაადგენს საბოლოო გადასახადის ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადოს ბენეფიციარმა საბოლოო საგრანტო ოდენობის კალკულაციის საფუძველზე (იხილეთ 11.2. ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუ წინა გადასახადების სრული ოდენობა აღემატება საბოლოო საგრანტო თანხას, ბენეფიციარი ვალდებული იქნება გადაუხადოს კომისიას ზედმეტად გადახდილი თანხა, თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველზე.

11.5. წინასწარი გადახდის უზრუნველყოფა

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის ფინანსური შესაძლებლობა არ არის დამაკმაყოფილებელი, წინასწარი გადახდის უზრუნველყოფა, იმავე ოდენობამდე შესაძლოა მოთხოვნილ იქნას, რათა შეიზღუდოს ფინანსური რისკები, რომელიც უკავშირდება წინასწარ გადასახადს.

ფინანსური გარანტია, ევროში, წარმოდგენილ უნდა იქნას დამტკიცებული საბანკო ან ფინანსური დანესებულების მიერ, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში. როდესაც ბენეფიციარი ოპერირებს მესამე სახელმწიფოში, უფლებამოსილმა ოფიცერმა შესაძლოა გასცეს თანხმობა, რომ საბანკო ან ფინანსურმა დანესებულებამ, რომელიც მოქმედებს მესამე სახელმწიფოში, წარმოადგინოს საბანკო გარანტია, თუ ოფიცერი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საბანკო ან ფინანსურ დანესებულებას გააჩნია ისეთივე ექვივალენტური უსაფრთხოების მექანიზმების და მახასიათებლები, როგორც წევრ ქვეყანაში მოქმედ საბანკო ან ფინანსურ დანესებულებას. საბანკო ანგარიშებზე დაბლოკილი თანხები არ მიიღება ფინანსურ გარანტიად.

გარანტია შესაძლოა ჩანაცვლდეს ერთობლივი და მესამე მხარის ცალკეული გარანტიით ან ბენეფიციარების ერთობლივი ფინანსური უზრუნველყოფით, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იგივე საგრანტო ხელშეკრულების მხარეებს.

გარანტიისგან გათავისუფლება შესაძლოა მოხდეს შუალედური გადასახადების თანდათან დაფარვით ან ბენეფიციარისთვის ნაშთების დაფარვით, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

წინამდებარე მოთხოვნა არ ვრცელდება შემდეგზე:

- საჯარო უწყებებსა და საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომლებიც დაფუძნებულნი არიან სამთავრობო-სამთავრობო შეთანხმებების საფუძველზე, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შექმნილი სპეციალიზირებულ უწყებებზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტზე (ICRC) ან წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციაზე.
- ბენეფიციარები, რომლებიც მიუერთდნენ პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას, შესაძლოა ასევე გათავისუფლდნენ წინამდებარე ვალდებულებისგან.

12. ცნობადობა, კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება

12.1. ბენეფიციარების მიერ

ბენეფიციარებმა მკაფიოდ უნდა გააცნობიერონ ევროკავშირის წვლილი ყველა პუბლიკაციაში ან იმ აქტივობებთან მიმართებით, რომელიც გრანტის საფუძველზე ხორციელდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბენეფიციარებს მოეთხოვებათ დაიტანონ [ევროკომისიის](#) სახელი და ემბლემა ყველა მათ პუბლიკაციაზე, პოსტერზე პროგრამას და სხვა მასალაზე, რომელიც გამოქვეყნდება თანადაფინანსებული პროექტის თანახმად.

აღნიშნული მიზნებისთვის, მათ უნდა გამოიყენონ ტექსტი, ემბლემა და უარის თქმის პირობები, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://eacea.ec.europa.eu/about-eacea/visual-identity_en

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილდება, ბენეფიციარის საგრანტო თანხა შესაძლოა შემცირდეს, სპეციალური საგრანტო შეთანხმების დებულებების საფუძველზე.

12.2. სააგენტოს ან/და კომისიის მიერ

ფიზიკური პირებისათვის გადახდილი სტიპენდიების და მათთვის გაცემული სხვა პირდაპირი მხარდაჭერის გარდა, ყველა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფინანსური წლის განმავლობაში გაცემულ გრანტებს, უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ინსტიტუტების ინტერნეტ გვერდზე არაუგვიანეს წლის 30 ივნისისა, რომელიც მოსდევს წელს, რომელშიც გაიცა გრანტები.

[სააგენტო](#) ან/და [კომისია](#) გამოაქვეყნებს შემდეგ ინფორმაციას:

- ბენეფიციარის სახელწოდება
- ბენეფიციარის ადგილმდებარეობა: ბენეფიციარის მისამართი, თუ იგი არის იურიდიული პირი, რეგიონი იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი არის ფიზიკური პირი, რამდენადაც აღნიშნული განსაზღვრულია NUTS 2¹⁷ დონით თუ მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ან მისი ექვივალენტი, თუ მუდმივი საცხოვრებელი გააჩნია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ
- გაცემული თანხის ოდენობა
- გრანტის ხასიათი და დანიშნულება

¹⁷ European Union Official Journal L39, of 10 February 2007.

ბენეფიციარის მიერ გონივრული და სათანადოდ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, პუბლიკაციაზე შესაძლოა უარი ითქვას, თუ ამგვარი გამოქვეყნებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას ცალკეულ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით ან ზიანი მიაყენოს ბენეფიციართა კომერციულ ინტერესებს.

12.3. კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება

მაქსიმალური ეფექტისთვის, პროექტებს შესაძლოა ჰქონდეთ თავიანთ აქტივობებსა და შედეგებთან მიმართებით მკაფიო და მტკიცე საკომუნიკაციო და ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია და განმცხადებლებმა უნდა დაუთმონ საკმარისი დრო და რესურსები თანატოლებთან, აუდიტორიასა და ადგილობრივ საზოგადოებასთან სათანადო კომუნიკაციასა და ინტერაქციას.

როგორც „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებით“ არის განსაზღვრული, ბენეფიციარებს მოეთხოვებათ აწარმოონ საჯარო ანგარიში ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მათი საქმიანობის და მათი პროექტის შედეგების შესახებ. საჯარო ანგარიში უნდა შედიოდეს საბოლოო ანგარიშში, რომელიც წარედგინება [სააგენტოს](#) და მისი დამტკიცების შემდეგ გადაეცემა და ავტომატურად გამოქვეყნდება ინფორმაციის გავრცელების პლატფორმაზე, რომელიც იწარმოება ევროკომისიის მიერ (<http://ec.europa.eu/programmes/creative-europe/projects/>). ანგარიში შესაძლოა გამოყენებულ იქნას კომისიის მიერ, პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ბენეფიციარებს შეეძლება ატვირთონ პროექტის შედეგები ინფორმაციის გავრცელების პლატფორმაზე.

[ევროკომისია](#), [სააგენტოსთან](#) ერთად, უფლებამოსილია განსაზღვროს კარგი პრაქტიკა და მოამზადოს შესაბამისი მასალები, რომლებიც გავრცელდება მონაწილე სახელმწიფოებში და მათ ფარგლებს გარეთ.

პროექტის შესახებ მონაცემები და შედეგები თავისუფლად იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის, პოლიტიკის განმსაზღვრელი და სხვა პირებისთვის სხვადასხვა მიზნებისთვის.

ბენეფიციარებს შესაძლოა მოეთხოვოთ ევროკომისიის ან სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რათა გაუზიარონ მათი გამოცდილება სხვა მონაწილეებს ან/და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოთხოვნები სრულად არ დაკმაყოფილდება, ბენეფიციარისთვის განკუთვნილი გრანტის ოდენობა შემცირდება „პარტნიორობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებისა“ და სპეციალური საგრანტო ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.

13. მონაცემთა დაცვა

ყველანაირი პერსონალური მონაცემი (როგორცაა სახელი, მისამართი, CV, სხვა) დამუშავდება „ევროპული გაერთიანების ფარგლებში არსებული დანესებულებებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და აღნიშნული მონაცემების თავისუფლად გადაცემის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის (EU) № 45/2001 რეგლამენტის შესაბამისად“¹⁸.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არასავალდებულო ხასიათს ატარებს, განმცხადებლის პასუხები სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ შეკითხვებზე აუცილებლად უნდა შეფასდეს და დამუშავდეს საგრანტო განაცხადი საგრანტო კონკურსისთვის განსაზღვრული სპეციფიკაციების შესაბამისად. პირადი მონაცემები დამუშავდება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის დეპარტამენტის ან განყოფილების მიერ, ევროკავშირის შესაბამისი საგრანტო პროგრამისთვის (დანესებულება, რომელიც მოქმედებს მონაცემთა კონტროლიორის სახით). პერსონალური მონაცემები ცნობისთვის შესაძლოა გადაეცეს მესამე მხარეს, რომელიც ჩართულია განაცხადების შეფასების პროცესში ან გრანტის მართვის პროცედურაში, იმ უფლების შეუზღუდავად, რომელიც უკავშირდება აღნიშნულის გადაცემას ორგანოებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამოცანების მონიტორინგსა და ინსპექტირებაზე ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად. კერძოდ, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნებისთვის, პირადი მონაცემები შესაძლოა გადაეცეს შიდა აუდიტის სამსახურებს, ევროპის აუდიტორთა სასამართლოს, ფინანსური დარღვევების პანელს ან ევროპის ანტი-თაღლითობის ოფისს და გაიცვალოს კომისიის უფლებამოსილ ოფიცრებსა და აღმასრულებელ უწყებებს შორის.

განმცხადებელს უფლება აქვს ჰქონდეს წვდომა და შეასწოროს საკუთარი პირადი მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მონაცემთა კონტროლიორს. განმცხადებლებს უფლება აქვთ დახმარებისთვის მიმართონ ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს, ნებისმიერ დროს. პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ გთხოვთ იხილოთ სააგენტოს ვებ-გვერდი:

http://eacea.ec.europa.eu/about/documents/calls_gen_conditions/eacea_grants_privacy_statement.pdf

განმცხადებლები და თუ ისინი არიან იურიდიული პირები, წარმომადგენლები, რომლებიც არიან აღნიშნული განმცხადებლის ადმინისტრაციული, მენეჯმენტის ან ზედამხედველობის ორგანოს წევრები ან ისინი, ვისაც გააჩნია განმცხადებლის წარმომადგენლობის, გადანყვეტილების

¹⁸ Regulation (EC) No 45/2001 Of The European Parliament and of the Council of 18 December 2000, OJ L8, 12.1.2001, p.1.

მიღების ან კონტროლის უფლებამოსილება ან ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც იძენენ განმცხადებლის სახელით შეუზღუდავ პასუხისმგებლობას, ინფორმირებულნი არიან, რომ მათი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი ფიზიკური პირის შემთხვევაში, მისამართი, სამართლებრივი ფორმა და დასახელება და წარმომადგენლობის, გადანაცვების მიღების ან კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირები, იურიდიული პირის შემთხვევაში) შესაძლოა დარეგისტრირდეს ადრეული გამოვლენისა და პრევენციის სისტემაში (EDES) [სააგენტოს](#) უფლებამოსილი ოფიცრის მიერ, თუ ისინი იმყოფებიან რომელიმე ვითარებაში, რაც აღნიშნულია ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის გამოყენების ფინანსური წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის # 966/2012 (EU, Euratom) რეგულაციით და ანულირდება საბჭოს # 1605/2002 (EU, Euratom) რეგულაციით (OJ L 298 of 26.10.2012, p. 1), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 28 ოქტომბრის # 2015/1929 (EU, Euratom) რეგულაციით (OJ L 286, 30.10.2015, p. 1).

14. განცხადებების წარდგენის და შერჩევის პროცედურა

14.1. გამოქვეყნება

კონკურსი ცხადდება [განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს](#) ინტერნეტ გვერდზე. განცხადებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია, კერძოდ განაცხადის ელექტრონული ფორმა და სახელმძღვანელო განმცხადებლებისთვის, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://eacea.ec.europa.eu/creative-europe/actions/culture_en

14.2. რეგისტრაცია მონაწილეთა პორტალზე

ელექტრონული განაცხადის წარდგენამდე, აპლიკანტებმა უნდა დაარეგისტრირონ თავიანთი ორგანიზაცია [განათლების, აუდიოვიზუალის, კულტურის, მოქალაქეობის და ნებაყოფლობითი მონაწილეობის პორტალზე](#) და მიიღონ მონაწილეთა საიდენტიფიკაციო კოდი (PIC). მონაწილეთა საიდენტიფიკაციო კოდი მოთხოვნილ იქნება განაცხადის ფორმაში.

[მონაწილეთა პორტალი](#) წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება ორგანიზაციებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი და ფინანსური ინფორმაციის მართვა. ინფორმაცია რეგისტრაციასთან დაკავშირებით შესაძლოა მოპოვებულ იქნას პორტალზე, შემდეგ მისამართზე: <http://ec.europa.eu/education/participants/portal>.

აღნიშნული აპლიკაცია განმცხადებლებს აძლევს საშუალებას, ატვირთონ თავიანთი ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტი. ამგვარი დოკუმენტაცია უნდა იქნას ატვირთული ერთხელ და არ იქნება მოთხოვნილი განმეორებით, იმავე ორგანიზაციის მომდევნო განაცხადებისთვის.

დამხმარე დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დეტალები, რომელიც უნდა აიტვირთოს პორტალზე, შესაძლებელია იხილოთ მე-3 დანართში.

14.3. საგრანტო განაცხადების წარდგენა

წინადადებების წარდგენა უნდა მოხდეს მე-5 ნაწილით განსაზღვრული დასაშვებობის მოთხოვნების შესაბამისად და იმ ვადებში, რაც დაწესებულია მე-3 ნაწილით.

განცხადების წარდგენისთვის საჭირო საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ, განცხადებაში ცვლილებების შეტანა არ არის დაშვებული. მიუხედავად ამისა, თუ არსებობს ცალკეული

საკითხების კორექტირების, ან საკანცელარიო შეცდომების შესწორების აუცილებლობა, სააგენტო უფლებამოსილია აღნიშნული მიზნებისთვის დაეკონტაქტოს განმცხადებელს შეფასების პროცესის განმავლობაში.

ყველა განმცხადებელს წერილობით ეცნობება შერჩევის პროცესის შედეგების შესახებ.

განცხადება უნდა გაკეთდეს განაცხადის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. საგრანტო განაცხადი უნდა შემუშავდეს ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, სპეციალურად აღნიშნული მიზნებისთვის განკუთვნილი ელექტრონული ფორმის მეშვეობით.

ელექტრონული ფორმების მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
<https://eacea.ec.europa.eu/PPMT/>

აპლიკაციების წარდგენა უნდა მოხდეს განცხადების წარდგენისთვის განკუთვნილ საბოლოო ვადამდე, 12 საათამდე (CET/CEST (Midday, Brussels time), ელექტრონული ფორმის და ზემოაღნიშნული დანართების გამოყენებით.

განცხადების წარდგენის სხვა მეთოდი არ არის დასაშვები. სხვაგვარად წარდგენილი განცხადებები გახდება უარის თქმის საფუძველი. არ დაიშვება არანაირი გამონაკლისი.

განმცხადებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ოფიციალურად წარადგინეს მათი ელექტრონული განაცხადის ფორმა და მიიღეს განაცხადის წარდგენის მიღების დამადასტურებელი ელექტრონული წერილი.

14.4. მოქმედი წესები

ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის გამოყენების ფინანსური წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის # 966/2012 (EU, Euratom) რეგულაცია (OJ L 298, 26.10.2012, p.1), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 28 ოქტომბრის # 2015/1929 (EU, Euratom) რეგულაციით (OJ L 286, 30.10.2015, p. 1).

ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის გამოყენების ფინანსური წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის # 966/2012 (EU, Euratom) რეგულაციის (OJ L 362, 31.12.2012, p.1) გამოყენების წესების შესახებ 2012 წლის 29 ოქტომბრის #1268/2012 კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU), რომელიც შესწორდა 2015 წლის 30 ოქტომბრის #2015/2462 კომისიის დელეგირებული რეგულაციით (EU), რომელიც ცვლიდა #1268/2012 დელეგირებულ რეგულაციას (EU), ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის გამოყენების ფინანსური წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის # 966/2012 (EU, Euratom) რეგულაციის (OJ L 362, 31.12.2012, p.1) შესახებ.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 20 დეკემბრის #1295/2013 რეგულაცია (EU, EURATOM), პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ (2014-დან 2020-მდე) შექმნის შესახებ,

რომელიც უკავშირდება ევროპის შემოქმედებითი სექტორის (შემოქმედებითი ევროპა) პროგრამის მხარდაჭერის განხორციელებას (OJ L L347) და 27/06/2014 წლის შესწორებებს.

14.5. კონტაქტები

ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ შემოქმედებითი ევროპის თქვენს დესკს:

https://eacea.ec.europa.eu/creative-europe/creative-europe-desks_en

სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაცია:

EACEA-CREATIVE-EUROPE-PLATFORMS@ec.europa.eu

დანართი 1 - ტერმინები

ფინანსური დებულებების ყველა ღონისძიებისა და კონკრეტული მუხლების შესაბამისი განმარტებები:

საკონკურსო განაცხადი: აღნიშნული წარმოადგენს ევროკავშირის პროგრამების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას. კონკურსი ცხადდება ყოველწლიურად და განსაზღვრავს სხვადასხვა ელემენტს: განხორციელების მიზნებს და შესაბამისი საქმიანობის მხარდასაჭერად გამოყოფილ წლიურ ბიუჯეტს, დასაშვებობის მოთხოვნებს, დაუშვებლობის საფუძვლებს, შერჩევისა და გრანტის გაცემის კრიტერიუმებს, ასევე განაცხადის წარდგენისთვის აუცილებელ დამხმარე დოკუმენტაციას, ევროკავშირისგან დაფინანსების მიღების გარემოებებს, საპროექტო წინადადებების წარდგენის პირობებს, თანადაფინანსებული საქმიანობის დაწყების შესაძლო თარიღებს და საგრანტო პროცედურის განრიგს. კონკურსი ცხადდება ევროკავშირის ინსტიტუტების ვებ-გვერდზე. ამგვარად გამოქვეყნებულ გარემოებებს აქვთ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათი. „შემოქმედებითი ევროპისთვის“ წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს აღნიშნული საკონკურსო განაცხადის საფუძველს.

ინტერესთა კონფლიქტი (ფინანსური რეგულაციების 57-ე მუხლი, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ზოგად ბიუჯეტთან მიმართებით):

1. ფინანსური აქტორები და სხვა პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ბიუჯეტის განხორციელებისა და მართვის პროცესში, მათ შორის აღნიშნულის მოსამზადებელ საქმიანობაში, აუდიტში ან კონტროლის პროცედურებში, არ უნდა მიიღონ არანაირი ზომა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ევროკავშირთან მიმართებით. სადაც ამგვარი რისკები არსებობს, პირმა თავი უნდა შეიკავოს ამგვარი ქმედებისგან და აცნობოს საკითხი ავტორიზების ოფიცერს, რომელიც წერილობით დაადასტურებს არსებობს თუ არა ამგვარი ინტერესთა კონფლიქტი. პირმა ასევე უნდა აცნობოს მასზე იერარქიულად ზემდგომ ზედამხედველს. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ინტერესთა კონფლიქტი, პირმა უნდა შეწყვიტოს აღნიშნულთან დაკავშირებული ყველანაირი საქმიანობა. ავტორიზების ოფიცერმა პირადად უნდა მიიღოს შემდგომი შესაბამისი ზომები.
2. 1 პარაგრაფის მიზნებისთვის, ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, სადაც ფინანსური აქტორის უფლებამოსილების მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელების პრინციპი, რომელიც აღნიშნულია 1 პარაგრაფში, რისკის ქვეშ დგება ოჯახის, ემოციური ცხოვრების, პოლიტიკური ან ეროვნული დამოკიდებულების, ეკონომიკური ინტერესის ან სხვა ინტერესის გამო.
3. კომისია უფლებამოსილი იქნება შეიმუშაოს დელეგირებული აქტები, 210-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს რა შეესაბამება ინტერესთა კონფლიქტს, პროცედურასთან ერთად, რომლის დაცვაც უნდა მოხდეს აღნიშნულ შემთხვევებში.

მესამე მხარეები: წინამდებარე კონკურსის კონტექსტში, მესამე მხარეები წარმოადგენენ პლატფორმის პროექტის არსებულ და სამომავლო წევრ ორგანიზაციებს.

კულტურისა და შემოქმედებითი სექტორები (დებულების მე-2 მუხლი): კულტურისა და შემოქმედებითი სექტორები წარმოადგენს ყველა სექტორს, რომელთა საქმიანობა ეფუძნება კულტურულ ღირებულებებს ან/და ხელოვნების და სხვა შემოქმედებით გამოხატულებებს, რამდენადაც აღნიშნული საქმიანობები გათვლილია ან არ არის გათვლილი ბაზრისთვის და ხორციელდება მიუხედავად სტრუქტურისა და იმისა თუ როგორ ფინანსდება. აღნიშნული საქმიანობა მოიცავს განვითარებას, შექმნას, წარმოებას, გავრცელებას და საქონლისა და მომსახურების დაცვას, რომელიც მოიცავს კულტურულ, მხატვრულ ან სხვა შემოქმედებით გამოხატულებას, ასევე უკავშირდება ისეთ სფეროებს, როგორცაა განათლება ან მენეჯმენტი. კულტურისა და შემოქმედებითი სექტორები, სხვა სფეროებთან ერთად, მოიცავს არქიტექტურას, არქივებს, ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს, მხატვრულ ხელოვნებას, აუდიოვიზუალს (მათ შორის ფილმს, ტელევიზიას, ვიდეო თამაშებს და მულტიმედიას) მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, დიზაინს, ფესტივალებს, მუსიკას, ლიტერატურას, საშემსრულებლო ხელოვნებას, გამომცემლობას, რადიოს და ვიზუალურ ხელოვნებას.

უფლებამოსილების ვადა: პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა დაშვებული ხარჯების გენერირება. აღნიშნული განსაზღვრულია ყოველწლიური სპეციალური საგრანტო ხელშეკრულებით.

საჯარო ორგანო: საჯარო ორგანო წარმოადგენს საჯარო სექტორის უწყებას ან იურიდიულ პირს, რომელიც რეგულირდება კერძო სამართლის კანონით და ემსახურება საზოგადოებრივი მომსახურების მისიას და უზრუნველყოფს შესაბამის ფინანსურ გარანტიებს. საჯარო სექტორში იგულისხმება სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობა ან ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც რეგულირდება საჯარო სამართლით და მოქმედებს სახელმწიფოს სახელით ან მისი ზედამხედველობით.

პარტნიორობის შესახებ შეთანხმება: პარტნიორობის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ორმხრივ აქტს, რომელიც ახდენს სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის პარტნიორობის ფორმალიზებას, რათა უზრუნველყოს მის მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. აღნიშნული გამიზნულია ორგანიზაციებისთვის, რომელთა ქმედებებიც, კერძოდ მიზნებთან, ფორმატთან, სამიზნე ჯგუფთან და მეთოდოლოგიასთან მიმართებით არის მდგრადი.

დანართი 2 - აუდიტორიის განვითარების პრიორიტეტი

აუდიტორიის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან, ახალ პრიორიტეტს პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“, რომელიც ხელს უწყობს ევროპულ ხელოვანებს/კულტურის სფეროში პროფესიონალებს და მათ ნამუშევრებს მოიცვან უფრო მეტი ხალხი ევროპის მასშტაბით და გაზარდონ კულტურულ ნამუშევრებზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს შორის. აღნიშნული ასევე მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კულტურულ ორგანიზაციებს, მოერგონ საჭიროებებს, რათა ახალი და ინოვაციური გზით შეინარჩუნონ არსებული და შექმნან ახალი აუდიტორიები, მოახდინონ აუდიტორიების დივერსიფიცირება, გააუმჯობესონ გამოცდილება როგორც არსებული, ისე ახალი აუდიტორიებისთვის და გააღრმავონ მათთან ურთოერთობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, აუდიტორიის განვითარების უნარებისა და შესაძლებლობების გაღრმავება შესაძლოა თავად პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდეს. სხვა შემთხვევებში, მაგალითად პროექტებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი ნამუშევრების შექმნას, ერთობლივ წარმოებას, შესრულებას, რაც მიზნად ისახავს ხელოვანების/კულტურის სფეროში პროფესიონალების ხელშეწყობას, პროექტებს უნდა გააჩნდეთ მკაფიო სტრატეგია აუდიტორიის განვითარებისთვის, რათა თან დაურთონ პროექტს, რათა აღნიშნულს არ ჰქონდეს მხოლოდ „მიწოდების“ ფუნქცია და უზრუნველყოს, რომ ამგვარ საქმიანობას ჰქონდეს ფართო გავლენა. მსგავსად, პროექტები, სადაც ჩართულნი არიან გაცვლით პროგრამებში მონაწილე ხელოვანები და ადგილობრივი პირები, უნდა იყოს გათვლილი ადგილობრივი საზოგადოებისა და აუდიტორიის ინტერაქტიაზე, ვიდრე მხოლოდ საკუთარი გამოცდილების გაზიარებაზე. აუდიტორიის განვითარების მიდგომა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროექტების ხარისხის შეფასების პროცესში და მათ წვლილზე პროგრამის მიზნებსა და პრიორიტეტებთან მიმართებით.

აუდიტორიის განვითარების მიზნით სტრატეგის შემუშავებისას, რამოდენიმე შეკითხვა, უკავშირდება შემდეგს (არ არის ამომწურავი):

რატომ?

- რა წარმოადგენს აუდიტორიის განვითარებაზე მუშაობის მოტივს?
 - ეკონომიკური საჭიროება
 - დამფინანსებლების მიერ დაკისრებული ვალდებულება
 - ორგანიზაციის რწმენა თქვენი საქმიანობის აღნიშნული სპექტრით განხორციელების მნიშვნელობაზე

რა?

- რა წარმოადგენს აუდიტორიის განვითარებისთვის თქვენი სამუშაოს მიზანს?

- თქვენი აუდიტორიის გაფართოება (მაგ: არსებული აუდიტორიიდან იგივე პროფილით უფრო მეტი ხალხის მოზიდვა)?
- აუდიტორიის დივერსიფიცირება (მაგ: არსებული აუდიტორიიდან განსხვავებული პროფილით ხალხის მოზიდვა)?
- თქვენს არსებულ აუდიტორიასთან ურთიერთობის გაღრმავება (მაგ: უკეთესი გამოცდილების შექმნა თქვენი არსებული აუდიტორიისთვის, როგორცაა მათი ხელშეწყობა რთული სამუშაოს გაგებაში)?

ვინ?

- იცით თუ არა ვინ წარმოადგენს თქვენს სამიზნე ჯგუფს?
- რომელი ახალი სამიზნე ჯგუფების ათვისება გსურთ და რატომ?
- თუ იკვლევთ თქვენს აუდიტორიას და აუდიტორიის არანევრებს, და თუ არა, მაშინ რატომ?

როგორ?

- აუდიტორიის განვითარება სრულად არის ინტეგრირებული თქვენს სამუშაო პროცესში? გაქვთ თუ არა აშკარა სტრატეგია?
- როგორ გაქვთ განზრახული აუდიტორიის განვითარება?
 - მათი ჩართვით პროგრამირებაში, წარმოებაში ან დაფინანსებაში
 - მონაწილეობითი ხელოვნების მეშვეობით
 - სამუშაოებთან დაკავშირებით დიალოგის მეშვეობით (მაგ: ხელოვნებთან და სხვა პირებთან შეხვედრების, თუ სოციალური მედიის და სხვა მეშვეობით)
 - სხვა სექტორებთან / კულტურის სფეროში მოქმედ სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობების განვითარებით
 - მოხალისეობით
- როგორ მოიზიდავთ აუდიტორიის არანევრ პირებს?
- გყავთ თუ არა თანამშრომლები, რომლებიც განსაზღვრულნი არიან სპეციალურად აუდიტორიის განვითარების ამოცანებისთვის?
- გაქვთ თუ არა აუდიტორიის განვითარების ტრენინგი თქვენი თანამშრომლებისთვის?
- არის თუ არა თქვენი ორგანიზაციის მართვაში გათვალისწინებული აუდიტორიის განვითარება?

შეათვალთ თუ არა აუდიტორიის განვითარებისთვის განკუთვნილი საქმიანობების პროგრესსა და წარმატებას?

დანართი 3 - სავალდებულო დოკუმენტები - ჩამონათვალი

შენიშვნა: სადაც საჭიროა დოკუმენტაციის ხელმოწერა, აღნიშნული უნდა ეკუთვნოდეს განმცხადებელი ორგანიზაციის კანონიერ წარმომადგენელს.

შენიშვნა: დოკუმენტაციას, რომელსაც გააჩნია * ნიშანი, სავალდებულოა და ნიმუშები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://eacea.ec.europa.eu/creative-europe/funding/european-platforms-062017_en

ელექტრონულ განაცხადს უნდა დაერთოს შემდეგი:

- ბიუჯეტის ფორმა* (Excel)
- პროექტის დეტალური აღწერა*, რომელიც მოიცავს შემდეგს
 - პლატფორმის საქმიანობის სამოქმედო გეგმას (მათ შორის, ერთობლივ საქმიანობას), პროექტის სრული ხანგრძლივობისთვის;
 - კრიტერიუმებს პლატფორმის წევრების შერჩევისა და მონიტორინგისთვის და პლატფორმის წევრებისთვის გრანტის მინიჭებისთვის პროექტის სრული პერიოდის მანძილზე;
 - ახალგაზრდა შემოქმედი და ხელოვანი პირების განსაზღვრებას;
 - კულტურისა და შემოქმედებით სექტორში, მაკოორდინირებელი უწყებისა და წევრი ორგანიზაციების ძირითადი აქტივობების ამომწურავ ჩამონათვალს უკანასკნელი 2 წლისთვის.
- მაკოორდინირებელ უწყებასა და პლატფორმის წევრებს შორის წერილობითი შეთანხმების შეთავაზებას.

დეკლარაცია და განზრახვის წერილი (დასკანერებული და თანდართული ერთი დოკუმენტის სახით, განაცხადის ელექტრონულ ფორმაზე)

- ხელმოწერილი სამართლებრივი სტატუსის შესახებ დეკლარაცია, ოპერაციული და ფინანსური შესაძლებლობა* და დაუშვებლობის კრიტერიუმები* (იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო თანხა > 60 000 ევროზე)
- პლატფორმასთან დაკავშირებით დეკლარაცია* საკოორდინაციო უწყებიდან, რომ:
 - პლატფორმის წევრები სამართლებრივად მოქმედებენ სულ მცირე ორი წლის განმავლობაში და დაფუძნებულნი არიან კულტურის ქვე-პროგრამის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში;
 - პლატფორმის წევრები მოქმედებენ კულტურისა და შემოქმედებით სექტორებში, როგორც აღნიშნული განსაზღვრულია დებულების მე-2 მუხლით;
 - პლატფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენს არააუდიოვიზუალური კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების მიზნებისა და პრიორიტეტების მხარდაჭერა;

<ul style="list-style-type: none"> ○ ნვერი ორგანიზაციების განზრახვის წერილი*.
მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი
<ul style="list-style-type: none"> ○ წამყვანი განმცხადებლის და ნვერი ორგანიზაციების წესდება
<ul style="list-style-type: none"> ○ გარე აუდიტის ანგარიში, შემუშავებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომელიც ადასტურებს მაკოორდინირებელი უწყების ანგარიშების ნამდვილობას უკანასკნელი ორი ხელმისაწვდომი ფინანსური წლისთვის.
<ul style="list-style-type: none"> ○ მაკოორდინირებელი უწყების უკანასკნელი ორი წლის საქმიანობის ანგარიშების ასლები (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო თანხა > 60 000 ევროზე).
<ul style="list-style-type: none"> ○ ხელმოწერილი ფინანსური საიდენტიფიკაციო ფორმა* და მოთხოვნილი დანართები (მხოლოდ მაკოორდინირებელი ორგანო).
<ul style="list-style-type: none"> ○ ფინანსური შესაძლებლობის დამადასტურებელი ფორმა* (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო თანხა > 60 000 ევროზე).
<ul style="list-style-type: none"> ○ ფინანსური ანგარიშგება უკანასკნელი ორი ფინანსური წლისთვის, სადაც ანგარიშები დახურულია (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო თანხა > 60 000 ევროზე) (მხოლოდ მაკოორდინირებელი ორგანო).
მონაწილეთა პორტალზე ასატვირთი მასალა
<ul style="list-style-type: none"> ○ იურიდიული პირის ხელმოწერილი ფორმა* და მოთხოვნილი დანართები (მხოლოდ მაკოორდინირებელი ორგანო), თუ აღნიშნული უკავშირდება ახალ განმცხადებელ ორგანიზაციას ან არსებული მონაწილეთა საიდენტიფიკაციო კოდის (PIC) მფლობელს, რომელმაც შეცვალა ორგანიზაციასთან დაკავშირებული მონაცემები, მონაწილეთა პორტალზე უკანასკნელად ატვირთული ინფორმაციის შემდეგ. ○ განმცხადებელმა ორგანიზაციებმა, რომელთაც გააჩნიათ მონაწილეთა საიდენტიფიკაციო კოდი (PIC), ორგანიზაციასთან დაკავშირებული განუახლებელი ინფორმაციით, უნდა გადაამოწმონ მათი მონაცემები მონაწილეთა პორტალზე. მონაწილეთა პორტალზე დადასტურდება ორგანიზაციის შესახებ სწორი მონაცემები.